დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ჯილდა ჭეიშვილი. შპს "ალტე" უნივერსიტეტი. მედიცინის საერთაშორისო სკოლის დეკანი. ასოცირებული პროფესორი. საქართველო

წევრები:

თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

ეკა გეგეშიძე, საქართველოს უნივერისტეტი, საქართველო

თბილისი

2022

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	შპს ,ქუთაისის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	212677094
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქუთაისი, წერეთლის ქ. #13/ქუთაისი/საქართველო.
ვებ-გვერდი	unik.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზირებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	24.09.2018 გადაწყვეტილების N 71
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წელი

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	7
ბაკალავრიატი	3
მაგისტრატურა	2
ერთსაფეხურიანი	1
დოქტორანტურა	1
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	6
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	26 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი; 3 ერასმუს+ გაცვლითი პროგრამა.

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	169	468	423 (ბოლო 5 წლის მონაცემები)
ბაკალავრიატი	141	408	363 (ბოლო 5 წლის მონაცემები
მაგისტრატურა	11	44	49 (ბოლო 5 წლის მონაცემები)
ერთსაფეხურიანი	4 (მათგან 2 სტუდენტი ჩაირიცხა რექტორის 2021 წლის 20 დეკემბრის №ს293 ბრძანებით, საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ინფორმაცია ასახულია 2021 წლის 23 დეკემბერს)		
დოქტორანტურა	13	16	11 (ბოლო 5 წლის მონაცემები)
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-	-	-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა	-	-	-
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	4	-	-
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	-	-	-

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	282
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	68
- პროფესორი	18
- ასოცირებული პროფესორი	35
- ასისტენტ პროფესორი	12
- ასისტენტი	3
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	29
- აფილირებული პროფესორი	8
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	13
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	**5**
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	1
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	150
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	64

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	2632.72 კვ.მ
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1186.05 კვ.მ.
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	1448.67 კვ.მ.

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს "ქუთაისის უნივერსიტეტის" ავტორიზაციის მონიტორინგის პროცესი მიმდინარეობდა სამი დღის განმავლობაში (24, 25, 26 დეკემბერი 2021 წელი). სამუშაო შეხვედრა კონსტრუქციული დიალოგითა და მსჯელობით მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა უნივერსიტეტის რესურსები, რეგულაციები, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობები, საგანმანათლებლო პროგრამები, და სხვა უსდ ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწიებული მოთხოვნები განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობისა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

მონიტორინგის პირველი და მეორე დღე დაეთმო ინტერვიუს პროცესს, (ადმინისტრაცია, პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და ა.შ.) ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID 19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოების მიზნით ინტერვიუირების პროცესი წარიმართა ონლაინ რეჟიმში (Zoom პლატფორმის გამოყენებით).

2021 წლის 26 დეკემბერს ექსპერტების ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი უნივერსიტეტსა და პრაქტიკის ობიექტებში შენობის, ლაბორატორიების, სასწავლო რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესაბამისობის დადგენის მიზნით.

პრაქტიკის ობიექტებად შერჩეულ იქნა:

1. „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი" (ს/კ 41271956);
2. „ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო - წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი" (ს/კ 212685414);

მონიტორინგის პროცესმა ჩაიარა მშვიდ გარემოში, ინსტიტუციის წარმომადგენლების ღია და გულწრფელი დამოკიდებულება აისახა როგორც ინტერვიუერების პროცესში, ასევე დამატებით გამოთხოვილი მასალის დროულად მოწოდებაში.

ინსტიტუციის მიერ არგუმენტირებული პასუხის მიღების შემდეგ დაკონკრეტდა დაწესებულების საერთო სასწავლო და დამხმარე ფართების ოდენობა კვ.მ-ში.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

1. „ქუთასისი უნივერსიტეტის" არსებობას წვლილი შეაქვს საქართველოს რეგიონალურ განვითარებაში, რაც აისახება ახალი, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი (არსებული და პოტენციური) კურსდამთავრებულების მომზადებაში;
2. ინსტიტუციამ წინა მონიტორინგის რეკომენდაციები რიგ შემთხვევაში გაითვალისწინა, რიგ შემთხვევაში ჯერ კიდევ მუშაობის პროცესშია, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში კიდევ უფრო მეტი მუშაობაა საჭირო ზოგიერთი რეკომენდაციების შესასრულებლად;

3. ინსტიტუცია დიდი გამოწვევის წინაშე დგას ახალი პროგრამის „დიპლომირებული მედიკოსი“ დამატებით, რამაც წარმოშვა გარკვეული რეკომენდაციების შესრულების საჭიროება;
მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები: ☒ **ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება** **შეფასების განხორციელების თარიღი: 2018 წლის 3-5 ივლისი** ☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება შეფასების განხორციელების თარიღი: _____ ☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში შეფასების განხორციელების თარიღი:

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	**აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:**
სტანდარტი 1 1.1.1. შესწორდეს მისიის განაცხადის ფორმატი ისე, რომ იყოს ლაკონური, კონკრეტული, გარჩევადი, რეალისტური და წინდახედული	**შესრულებულია** შესრულდა დაიხვეწა მისიის განაცხადი
1.1.2. მისიის განაცხადმა უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტის როლი ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე;	**შესრულებულია** მისიის განაცხადში განსაზღვრულია უნივერისტეტის როლი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე
1.1.3. გაიზარდოს დაწესებულების მისიის გავრცელება აკადემიურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტებში	**შესრულებულია** დაწესებულების მისია გაზიარებულია სტუდენტებში და აკადემიურ საზოგადოებაში.

1.2.1 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები უნდა შენარჩუნდეს, როგორც მმართველი ინსტრუმენტები თავიანთი სახელწოდებების შესაბამისად ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს მიზანს: სტრატეგიული გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებას, მიზნებსა და ამოცანებს, მაშინ როცა, სამოქმედო გეგმა დეტალურად განსაზღვრავს ყველა იმ ქმედებას, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სტრატეგიული გეგმისა და ამოცანის მისაღწევად.	**შესრულებულია** სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები მუდმივად მუშავდება დგება ანგარიშები და არის მთავრი მმართველი ინსტრუმენტი.
1.2.2. მოხდეს სტრატეგიის მკაფიო პრიორიტიზირება, რომელიც მუდმივად ყურადღების ქვეშაა, როგორც სტრატეგიული დაგეგმვის, ასევე თითოეული ქმედებისთვის ვადების გამოყოფის თვალსაზრისით.	**შესრულებულია** სტრატეგია პრიორიტიზირებულია, გაწერილია შესაბამისი ვადები, სამოქმედო გეგმებსა და ამოცანებში.
1.2.3. უზრუნველყოს სტრატეგიული გეგმის მიღწევების მონიტორინგისა და ანგარიშგების ეფექტურობა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები	**შესრულებულია** სტრატეგიული გეგმების მიღწევადობის მონიტორინგი და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები ადგილზეა.
სტანდარტი 2 2.1.1. უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების წარმომადგენლობა როგორც სტრატეგიულ, ასევე გადაწყვეტილების მიმღებ, საკონსულტაციო და აღმასრულებელ ორგანოებში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. არჩევნების ორგანიზება უნდა მოხდეს დამოუკიდებლად, ღიად და დემოკრატიულად, არ შეიზღუდოს სტუდენტების ხმის მიცემისა და მათი არჩევის უფლება, განურჩევლად მათი აკადემიური მოსწრებისა.	**შესრულებულია** სტუდენტების წარმომადგენლობა უზრუნველყოფილია შესაბამის ერთეულებში. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც ფაკულტეტის საბჭოს, ასევე მმართველი საბჭოს მუშაობაში.
2.1.2. უზრუნველყოფილი იყოს უმაღლესი მმართველი სტრუქტურების ეფექტურობის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.	**შესრულებულია** უზრუნველყოფილია უმაღლესი მმართველი სტრუქტურების ეფექტურობის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება.
2.1.3. გადაიხედოს ორგანიზაციული სტრუქტურა ტოპ მენეჯმენტის, ფაკულტეტებისა და	**შესრულებულია**

ადმინისტრაციული ერთეულების ოპტიმიზაციის გათვალისწინებით;	უზრუნველყოფილია უსდ-ში ჩამოყალიბებულია თვისობრივად ახალი ორგანიზაციული სტრუქტურა.
2.1.4. გაიზარდოს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების სიზუსტე, ისე რომ თავიანთი ფუნქციები ეფექტურად და კოორდინირებულად შეასრულონ;	**შესრულებულია** ორგანიზაციული სტრუქტურა შეიცვალა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გამიჯნულია.
2.1.5. უზრუნველყავით, რომ ორგანიზაციის ჩარტებში პოზიციები დაიკავოს იმ პირებმა, ვისაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია, რაც საშუალებას მისცემს მათ ეფექტურად პროფესიონალურად შეასრულონ თავიანთი მოვალეობები;	**შესრულებულია** უზრუნველყოფილია, სტრუქტური ერთეულების ხელმძღვანელებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.
2.1.6. დამკვიდრდეს და დაცული იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განახლების სისტემატური პროცესი.	**შესრულებულია** უზრუნველყოფილია არსებობს და მუშაობს შესაბამისი მექანიზმები.
2.1.7 უზრუნველყავით, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ცნობილი იყოს, სულ მცირე, იმ ადამიანებისთვის, რომელთა საქმიანობაც უნდა მომდინარეობდეს და იმართებოდეს აღნიშნული დოკუმენტით; საუკეთესო შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი უნდა შემუშავდეს სიღრმისეული საკონსულტაციო პროცესების გზით.	**შესრულებულია** შემუშავებულია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც იცნობს ყველა დაინტერსებული მხარე.
2.1.8 გაზარდეთ თანამედროვე ტექნოლოგიების მოხმარება და IT მხარდაჭერა დაწესებულების მათვისას, ადმინისტრაციაში, სტუდენტთა მხარდასაჭერად და ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში.	**შესრულებულია** უსდ-ში ტექნოლოგიების მოხმარება და IT მხარდაჭერა მათვის, ადმინისტრირების და სწავლების პროცესში სრულად არის ინტეგრირებული და პანდემიური პროცესების გამო არსებული გამოწვევებიც ეფექტურად არის მართული.
2.1.9. დაწესებულების საქმიანობაში გაიზარდოს ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენება, მათ შორის უფრო სტრუქტურული, კოორდინირებული და მიზნობრივი ურთიერთგაგების მემორანდუმის მეშვეობით;	**შესრულებულია** დაწესებულებას მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული ინტერნაციონალიზაციის გაზრდის მიზნით, ადგილზეა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, გაფორმებული მემორანდუმები და სხვა ქმედითი მექანიზმები.

2.1.10 იდენტიფიცირება მოახდინოს საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავსი მკაფიო კრიტერიუმების საფუძველზე, რათა მოხდეს ინსტიტუციური პროცესების მათთან მიმართებაში შეფასება.	**შესრულებულია** სხვადასხვა საერთაშორისო უსდ-ების მმართველობითი პროცესების გაანალიზების საფუძველზე ჩამყალიბდა განახლებული ორგანიზაციული სტრუქტურა.
2.1.11 გაიზარდოს ინგლისური ენის ცოდნის დონე, როგორც პერსონალში, ასევე სტუდენტებში.	**შესრულებულია** გაზრდილია და დიდი ყურადღება ეთმობა პერსონალის და სტუდენტების ინგლისურის ცოდნას გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გაზრდისთვის და საერთაშორისო სტუდენტების მომსახურებისთვის.
2.2.1. უნივერსიტეტმა შეიმუშავოს და მიიღოს სრულყოფილი პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, გაასაჯაროოს და გახადოს თავისი სტრატეგიული მართვის ნაწილი;	**შესრულებულია** უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების, ასევე უნივერსიტეტის რესურსების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა საჯაროა და წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის ნაწილს.
2.2.2. თვითშეფასების პროცესი გახდეს ოფიციალური და ჩატარდეს რეგულარულად, ასევე განხორციელდეს ანგარიშების წარმოება, რათა დაწესებულებას მიეცეს საშუალება გავლენა მოახდინოს თავისივე საქმიანობის ხარისხზე.	**შესრულებულია** უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს ხარისხის შიდა შეფასებას, შეფასების შედეეგების ანალიზს, შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებასა და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.
2.2.3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანებისა და მოვალეობების გადასინჯვა, რათა ზოგიერთი მისი პასუხისმგებლობა უფრო შესაბამის ერთეულებს გადაეცეს;	**შესრულებულია** გადაიხედა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ამოცანები და ფუნქციები, განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები.
2.2.4. უზრუნველყავით, რომ მონაცემთა/უკუკავშირის შეგროვებისთვის გამოყენებული ინსტრუმენტები ვარგისი იყოს მიზნის მისაღწევად, მომხმარებელზე ორიენტირებული, ყოვლისმომცველი (სტუდენტის დონისა და აკადემიური მოსწრების კუთხით დისკრიმინაციის გარეშე) და მოიცავდეს	**შესრულებულია** ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან ერთად, გადაიხედა და შეიცვალა და განახლდა კვლევის ინსტრუმენტები განახლებული ინსტრუმენტები მომხმარებელზე ორიენტირებული და ყოვლისმომცველია. განახლებული კითხვარები დანერგილია.

სტუდენტებისა და პერსონალისთვის საინტერესო ყველა საკითხსა და სფეროს.	
2.2.5 შემუშავდეს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა ისე, რომ იყოს ცენტრალიზებული ფორმალური, მკაფიო, თანმიმდევრული, რეგულარული და წარმართოს უწყვეტ რეჟიმში.	**შესრულებულია** ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა არის ცენტრალიზებული, ფორმალური, თანმიმდევრული, და რეგულარული. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.
2.2.6 უზრუნველყავით, რომ დაწესებულების ხარისხიანი მუშაობისთვის გამოყოფილი ადამიანური რესურსები კვალიფიციურები და კომპეტენტურები არიან თავიანთი მოვალეობების შესასრულებლად;	**შესრულებულია** უნივერსიტეტში თანამშრომელთა პოზიციაზე დანიშვნა ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კომპეტენციისა და გამოცდილების მქონე პირებით.
2.2.7 მოიპოვეთ და განახორციელეთ ინტეგრირებული მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემა, რათა გააძლიეროთ ხარისხი, გახადოთ ის მზა და ხელმისაწვდომი გადაწყვეტილებების მიღების ხელშესაწყობად;	**შესრულებულია** უნივერსიტეტში დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემები.
2.2.8 პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემის ნათლად განმარტება, ცენტრალიზება და გავრცელება;	**შესრულებულია** პერსონალის შეფასების სისტემა განახლდა, განახლებული შეფასების სისტემა დანერგილია, მკაფიოდ არის განსაზღვრული როგორც შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელი, ასევე პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულები/პირები.
2.2.9 ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში გაზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა;	**შესრულებულია** სტუდენტები ჩართული არიან ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში: სასწავლო კურსების, პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების, უნივერსიტეტის რესურსების, სერვისების შეფასების გზით. მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტების მუშაობაში.

2.2.10 უზრუნველყავით გამოკითხვების რეგულარულობა, განხორციელებისთვის პლატფორმის თანმიმდევრულობა და შედეგების გამჭვირვალეობა;	**შესრულებულია** გამოკითხვები ხორციელდება პერიოდულად, შესაბამისი პლატფორმების მეშვეობით.
2.2.11 ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების გადახედვა და მონაცემთა შედარებითობის დაცვა გახდეს სტანდარტი	**შესრულებულია** საანგარიშო პერიოდში განახლდა ხარისხის უზრუნველყოფის უზრუნველყოფის ინსტრუმენტები, ასევე დაინერგა ახალი ინსტრუმენტები, რომელიც ხორციელდება განსაზღვრული პლატფორმით.
2.3.1. უკეთესად გაავრცელეთ რელევანტური ეთიკური რეგულაციები, რათა ისინი გახდეს უფრო ხელმისაწვდომი აკადემიური საზოგადოებისთვის.	**შესრულებულია** ეთიკასა და კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებული რეგულაციები საჯარო, ხელმისაწვდომი და კარგად ცნობილია პერსონალისა და სტუდენტებისთვის.
2.3.2. განავითაროს ეფექტური მექანიზმი პლაგიატისა და ინტელექტუალური საკუთრების ქურდობის მიმართულებით პროგრამული და ტექნოლოგიური გზების ძიებით, ნაცვლად ადამიანურ ფაქტორზე ნდობისა.	**შესრულებულია** პლაგიატის აღმოჩენისთვის უნივერსიტეტში გამოიყენება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. მექანიზმის ეფექტურად გამოყენების მიზნით, გადამზადებულია პერსონალი, სტუდენტების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით.
2.3.3. უზრუნველყავით სტუდენტთა კვლევის მეთოდოლოგიის დამტკიცების პროცესი ისე, რომ კვლევის ეთიკა დაცული იყოს მანამ, სანამ კვლევა განხორციელდება.	**მეტწილად შესრულებულია** შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები და მექანიზმები კვლევითის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად ინტერვიუზე წარმოდგენილი სტუდენტები არ ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებზე კვლევის ეთიკასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა გააგრძელოს ძალისხმევა სტუდენტების უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესახებ ინფორმირებისთვის.
სტანდარტი 3	**შესრულებულია** ინსტიტუციამ წარმოადგინა ბაზრის კვლევები ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის და

3.1.1. დარწმუნდით, რომ ახალი პროგრამები დაწყება და ცვლილებები არსებულ პროგრამებში ეფუძნება ბაზრის კვლევის მონაცემებს;	გარდა ამისა ინიცირებული პროგრამებისათვის (სტომატოლოგია, სამართალი)
3.1.2. გაზარდეთ რეაგირების მაჩვენებელი სტუდენტურ კვლევებში და დარწმუნდით, რომ რესპოდენტები ასახავენ სტუდენტთა ძირითადი მასის მრავალფეროვნებას.	**შესრულებულია** სტუდენტური კმაყოფილების კვლევები პერიოდულად ტარდება და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის, გამოკითხვაში მონაწილეობას იღებს ყველა პროგრამის სტუდენტი.
3.1.3. ხელახლა გადახედეთ გამოკითხვებს, რათა დარწმუნდეთ, რომ კითხვები შეესაბამება მიზანს და უზრუნველყავით საკმარისი დეტალები, პროგრამის დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების მხარდასაჭერად	**შესრულებულია** კითხვარები განახლებულია, სრულყოფილია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას პროგრამის დონეზე გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად
3.1.4. გაზარდეთ ურთიერთობა ყველა კურსდამთავრებულთან, ხელი შეუწყეთ მათ მონაწილეობას პროგრამის/ფაკულტეტის აკადემიურ და სოციალურ აქტივობებში და შეარჩიეთ პირები, რომელთა ფორმალური ჩართვაც შესაძლებელი იქნება პროგრამის შემუშავებაში.	**შესრულებულია** კურსდამთავრებულებთან ერთად ინსტიტუცია გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სოციალური აქტივობებს
3.1.5. მოახდინეთ ადგილობრივ დასაქმებულთა, პროფესიების წევრების და დაინტერესებულ მხარეების ინტეგრაცია შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში ახალი და არსებული სასწავლო პროგრამების გათვალისწინებით;	**შესრულებულია** ინსტიტუცია ითვალისწინებს სხვადსხვა დაინტერესებული მხარეების მოსაზრეებს პროგრამების მოდიფიცირების პროცესში
3.1.6. ხელი შეუწყვეთ სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობას პროგრამების განვითარებაში, მათი უკუკავშირის პროგრამებში ასახვით.	**მეტწილად შესრულებულია** კურსდამთავრებულები ნაკლებად არიან ჩართულები პროგრამების მოდიფიცირების პროცესში
3.2.1. ტრენინგის კომპონენტის დატვირთვის გასაზომად, შეიმუშავეთ და განახორციელეთ მკაფიო სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოხდება თითოეულ საგანში კრედიტების მინიჭება და შეცვალეთ კრედიტების, ის რაოდენობა, რომელთა მინიჭებაც ახლა ხდება.	**შესრულებულია** თითოეულ საგანში/სასწავლო კურსში კრედიტების მინიჭება ხორციელდება საგნის/სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შესასწავლი საკითხებიდან გამომდინარე

3.2.2. უზრუნველყავით, რომ უნივერსიტეტის ვებგვერდი მოიცავდეს ინდივიდუალური პროგრამების განახლებულ პრეზენტაციებს, ასევე ყველა პროგრამის, ისე რომ ადვილად ხელმისაწვდომი იყოს.	**შესრულებულია** პროგრამების განახლებული პრეზენტაციები განთავსებულია ვებგვერდზე.
3.2.3 შეიმუშავეთ და განახორციელეთ ელექტრონული სწავლების პროცესის მართვის სისტემა არა მხოლოდ სტუდენტებისთვის საგნების არჩევის ხელშესაწყობად, არამედ სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლადაც.	**შესრულებულია** შემუშავებულია ელექტრონული სწავლების პროცესის მართვის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს არამარტო სტუდენტების მიერ საგნების არჩევას არამედ აუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს.
სტანდარტი 4 4.1.1. გაიზარდოს ადამიანური რესურსების სტრატეგიული ამოცანებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რათა შესაძლებელი გახდეს იმ სამიზნეების მიღწევა, რომელიც დაწესებულებამ საკუთარ თავს დაუწესა.	**შესრულებულია** გაიზარდა ადამიანური რესურსების სტრატეგიული ამოცანებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, დაიხვეწა შესრულებულ სამუშაოზე დამყარებული ანაზღაურების სისტემა, რაც დგინდება დოკუმენტებით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებით
4.1.2. შეიმუშავეთ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი სამუშაოს აღწერის შესაბამისად.	**შესრულებულია** შემუშავებულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები მათი სამუშაოს აღწერის შესაბამისად.
4.1.3. პერსონალისთვის ფუნქციების გადანაწილება უნდა მოექცეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილების ქვეშ და მასზე გავლენა არ უნდა მოახდინოს კონკრეტული ინდივიდების წარსულმა და გამოცდილებამ.	**შესრულებულია** პერსონალის ფუნქციები განაწილებულია ადეკვატურად.
4.1.4. პერსონალის პროფესიული განვითარების საჭიროებათა გამოვლენის მკაფიო პროცესის გზით, გაიზარდოს პერსონალის განვითარების პრიორიტიზირება, პერსონალის განვითარებას დაეთმოს მეტი რესურსი და შეფასდეს პროფესიული განვითარების სესიების გავლენა;	**შესრულებულია** პერსონალის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა უსდ-ში პრიორიტიზირებულია.
4.1.5. პერსონალის მუშაობის შეფასება უნდა განხორციელდეს შეთანხმებულად, ცენტრალიზებულად და გამჭვირვალედ. იგი უნდა	**შესრულებულია**

იყოს უწყვეტი განვითარების საფუძველი როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობაში.	პერსონალის მუშაობის შეფასების სისტემა ცენტრალიზებული და გამჭირვალეა, რომელიც არის უწყვეტი განვითარების საფუძველი.
4.1.6 განხორციელდეს შესრულებულ სამუშაოზე დამყარებული ანაზღაურების სისტემა.	**შესრულებულია** განხორციელებულია შესრულებულ სამუშაოზე დამყარებული ანაზღაურების სისტემა
4.2.1. პერსონალის დატვირთვის რეგულირებისა და მენეჯმენტის მიზნით შემუშავებულ იქნეს ეფექტური მექანიზმები და განხორციელდეს მონიტორინგი იმისა, თუ რა ზემოქმედებას ახდენს დატვირთვის სქემა შესაბამისი პერსონალის პროდუქტიულობაზე.	**შესრულებულია** ადგილზეა პერსონალის დატვირთვის სქემა და მონიტორინგი ხორციელდება პერსონალის პროდუქტიულობაზე.
სტანდარტი 5 5.1.1. პროგრამის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებაში, ისევე, როგორც სწავლების მეთოდოლოგიაში, გასაჩივრების პროცედურებსა და ა.შ. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა;	**შესრულებულია** - სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საგანამანათლებლო პროგრამების შემუშავებაში, ისინი წარმოდგენილნი არინ ფაკულტეტის საბჭოში, ასევე მმართველ საბჭოში.
5.1.2. გაუმჯობესდეს სტუდენტების წარმომადგენლობა დაწესებულების ორგანოებში მათი როლის შესრულების გზით, რაც გულისხმობს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას და არა მხოლოდ სასწავლო განრიგის გარე აქტივობების მხარდაჭერას; უზრუნველყავით ეფექტური ორმიმართულებიანი კომუნიკაცია სტუდენტებსა და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს შორის;	**შესრულებულია** - სტუდენტების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მათი უფლებებისა და შესაძლებლობების მიხედვით.
5.1.3. სტრუქტურული და სისტემური გზით სცადეთ სტატუსშეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობის საკითხის მოგვარება, მხედველობაში მიიღეთ ყველა ის საფრთხე, რომელსაც ეს სიტუაცია შეიძლება უკავშირდებოდეს.	**მეტწილად შესრულებულია** - დაწესებულების მიერ საანგარიშო პერიოდში გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირებისთვის, ამის მიუხედავად, აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალურია დაწესებულებისთვის და მნიშვნელოვანია ძალისხმევის გაგრძელება.
5.1.4. უზრუნველყოფილ იქნეს ეთიკის კოდექსის დებულებების, მათ შორის მისი დარღვევის შემთხვევებში სანქციების შესახებ, უკეთ გავრცელება სტუდენტებში;	**შესრულებულია** - სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ეთიკის კოდექსის დებულებების და მისი დარღვევის შემთხვევაში არსებული სანქციების შესახებ.

5.1.5. განიხილეთ სტუდენტებთან და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან, უნივერსიტეტის მიერ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ნაბისმიერი ცვლილება ან დამატება.	**შესრულებულია** - სტუდენტები იცნობენ ხელშეკრულების პირობებს, უნივერსიტეტმა მოახდინა მათთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კომუნიკაცია, სტუდენტებმა თუ მათმა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ინფორმაციის გაცნობის შესახებ ფორმას.
5.2.1. ინსტიტუციაში ინტერნაციონალიზაციის შემდგომი გაზრდა გაცვლითი სტუდენტების დახმარებით და ინგლისური ენის კურსების რაოდენობის გაზრდით;	**მეტწილად შესრულებულია** გაცვლითი პროგრამების, სტუდენტთა მობილობის, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებაში სტუდენტთა მონაწილეობის მიმართულებით დაწესებულებას მნიშვნელოვანი პროგრესი აქვს, (მიუხედავად პანდემიისა). საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების დამატებაზე მუშაობა მიმდინარეობს.
5.2.2. სტუდენტთა ფინანსური დახმარების გამჭვირვალობის ამაღლებით, ამ მიზნებისათვის პროცედურებისა და პროცესების მკაფიო აღწერილობის შემუშავებით;	**შესრულებულია** სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის რეგულაციები გამჭვირვალეა, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დეტალური აღწერილობა პროცედურებისთვის, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან არსებული რეგულაციების შესახებ.
5.2.3. სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაცემის კრიტერიუმების უფრო მიზნობრივი შემუშავება, მათი აკადემიური მოსწრებისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით.	**შესრულებულია** სტუდენტების ფინანსური დახმარების მექანიზმები ითვალისწინებს როგორც სტუდენტთა ფინანსურ საჭიროებებს, ასევე აკადემიურ მოსწრებას.
5.2.4. განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტების უკეთ ადაპტირებული გარემოთი და სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა;	**შესრულებულია** უნივერსიტეტის სასწავლო გარემო ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, უნივერსიტეტის რეგულაციები ითვალისწინებს სტუდენტებისთვის დამატებით სასწავლო რესურსების ადაპტირებას, საჭიროების შემთხვევაში.
5.2.5. სტუდენტთა ადმინისტრირებისა და დახმარების სერვისების სტრუქტურული ერთეულების რეორგანიზაცია იმგვარად, რომ	**შესრულებულია** განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები

შეესაბამებოდნენ დანიშნულებას და მათი სფეროს საჭიროებების უზრუნველყოფას;	
5.2.6. აკადემიური საზოგადოებას უზრუნველყოფილ იქნეს აუცილებელი ფიზიკური სიმძლავრეებითა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული სასწავლო ,ურსებით, რათა ხელი შეეწყოს სწავლისა და სწავლების პროცესს, როგორც ეს დეტალურადაა აღწერილი ზემოთ;	**შესრულებულია** უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შეესაბამება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს.
5.2.7 მიღებულ იქნეს ზომები სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტების დასახმარებლად	**შესრულებულია** სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები ითვალისწინებს სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი სტუდენტების ფინანსურ მხარდაჭერას.
სტანდარტი 6 6.1.1. უზრუნველყავით უფრო თანმიმდევრული სტრატეგია კვლევის პრიორიტეტებისა და ფოკუსის განსაზღვრის მიზნით;	**შესრულებულია** უსდ-მ შეცვალა სტრატეგიული გეგმა და შესაბამისად მოხდა კვლევითი საქმიანობის უფრო მეტად პრიორიტეტიზირება.
6.1.2 გააფართოვეთ საკვლევი არეალი და კვლევის სამიზნე ნიშნულები რეგიონული განვითარების ტენდენციებიდან ეროვნულ და გლობალურ დონემდე;	**შესრულებულია** უსდ-ს შემუშავებული აქვს შესაბამისი სამიზნე ნიშნულები კვლევითი საქმიანობისათვის და გაფართოებული აქვს საკვლევი არეალი
6.1.3 პროგრამაზე მიღების დროს, უფრო კარგად შეამოწმეთ დოქტორანტების ცოდნის დონე უცხოურ ენაში;	**შესრულებულია** სადოქტორო პროგრამა სრულად გადამუშავდა, შეცვალა პროგრამის ხელმძღვანელები, უფრო მეტი ყურადღება ეთმობა უცხო ენის ცოდნას.
6.1.4. სადოქტორო პროგრამაში დაამატეთ მეტი უცხოენოვანი კომპონენტი;	**შესრულებულია** პროგრამას ჰყავს უცხოელი თანახელმძღვანელი და ამავდროულად სილაბუსებში მრავლად არის უცხოენოვანი ლიტერატურა წარმოდგენილი.
6.1.5. სადოქტორო პროგრამის სასწავლო განრიგში დაამატეთ კვლევის მეთოდოლოგიის საგანი;	**შესრულებულია** პროგრამა სრულად არის განახლებული და გადამუშავებული, მასში გათვალისწინებულია ავტორიზაციის ყველა რეკომენდაცია.
6.1.6. სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებად დანიშნეთ უცხო ენის კარგად მცოდნე,	**შესრულებულია**

კვალიფიციური პროფესორები; თანახელმძღვანელებად მოიწვიეთ კვალიფიციური უცხოელი პროფესორები;	სადოქტორო პროგრამას ყავს უცხო ენის მცოდნე ხელმძღვანელი და უცხოელი თანახელმძღვანელი.
6.1.7. გააუმჯობესეთ დაწესებლების ის დებულებები, რომლებიც იცავს ეთიკასა და პატიოსნებას კვლევის შედეგებსა და მთლიანად სადოქტორო პროგრამაზე;	**შესრულებულია** უსდ-ში მენეჯმენტის ცვლილების შემდეგ განახლებულია ყველა დებულება, მათში დეტალურად არის წარმოდგენილი საკითხები, რომლებიც შემხებლობშია კვლევის ეთიკასა და აკადემიურ პატიოსნებასთან.
6.1.8 აკადემიური პერსონალისთვის ჩაატარეთ სპეციალურად მათზე მორგებული ტრენინგები დოქტორანტების ხელმძღვანელობის კუთხით	**შესრულებულია** აკადემიური პერსონალისთვის ინტენსიურად ტარდება ტრენინგები, მათ შორის კვლევებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის მიმართულებით.
6.2.1. კვლევისათვის შეიმუშავეთ ნათელი ხედვა, პრიორიტეტები და სტრატეგიული გეგმა;	**შესრულებულია** უსდ-მ შეიმუსავა ახალი მისია სტრატეგიული გეგემა და მასში ნათლად არის წარმოდგენილი კვლევის პრიორიტეტები.
6.2.2. გააუმჯობესეთ პერსონალის მიერ ინგლისური ენის ცოდნა მათთვის უფასო კურსების უზრუნველყოფით;	**შესრულებულია** უსდ ახორცილებს უცხო ენაში მოსამზადებელ პროგრამებს.
6.2.3. გადახედეთ საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეკრულებებს და შეარჩიეთ აქტიური პარტნიორები;	**შესრულებულია** უსდ-ში გაზრდილია საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით, გაფორმებულია მემორანდუმები და ხელშეკრულებები.
6.2.4. გაზარდეთ და გააუმჯობესეთ ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენება დაწესებულების საქმიანობაში;	**შესრულებულია** უსდ ინტენსიურად ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე, მის შედეგებს კი ნერგავს დაფასებულების საქმიანობაში.
6.2.5. გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო მობილობა სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე, ასევე დოქტორანტურის შემდგომ ეტაპზე, აკადემიური და სამეცნიერი პერსონალისთვის (სტაჟირება საზღვარგარეთ, კვალიფიკაციის	**შესრულებულია** უსდ-ს მუხედავად პანდემიისა გაზრდილი აქვს სტუდენტთა მობილობა და ამ მიმართულებით ინტენსიურად მუშაობს.

ასამაღლებელი სხვა შესაძლებლობები); აკადემიური პერსონალი უშუალოდ უნდა მონაწილეობდეს სასწავლო მობილობის ხელშეწყობაში;	
6.2.6. მოიწვიეთ უფრო მეტი უცხოელი პედაგოგი პროგრამის განსახორციელებლად;	**შესრულებულია** უსდ-ს მოწვეული ყავს უცხოელი პედაგოგები პროგრამის განხორიცელებას. სადოქტორო პროგრამას ყავს უცხოელი თანახელმძრვანელი
6.2.7. წაახალისეთ აკადემიური პერსონალი, რომ მონაწილეობა მიიღონ ინდივიდუალურ/ჯგუფურ საგრანტო კონკურსებში;	**შესრულებულია** უსდ აქტიურად მუშაობს აკადემიური პერსონალის განვითარებასა და ხელშეწყობაზე. გაზრდილია მათი საგრანტო კონკურსებში მონაწილეობაც.
6.2.8. შეიმუშავეთ ინტერნაციონალიზაციის უფრო მყარი სტრატეგია;	**შესრულებულია** უსდ-ში ჩამოაყალიბა ახალი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2021-2027 წლებს სადაც დეტალურად არის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია გაწერილი და უკვე განხორციელებულია მნიშვნელოვანი აქტივობები.
6.2.9 გაიზარდოს დაწესებულების ჩართულობა გამოყენებითი კვლევების პროექტებში, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ;	**შესრულებულია** უსდ ამჟამად მონაწილეობს 2 საერთაშორისო პროექტში, ასევე დარეგისტრირებულები არიან სხვადასხვა პროგრამებში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით.
6.3.1 გაიზარდოს აკადემიური პერსონალის კვლევების გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში.	**შესრულებულია** უსდ-ს ლექტორების ნაშრომების გამოქვეყნება საერთაშორისო ჟურნალებში გაზრდილია.
6.3.2. კვლევისათვის უზრუნველყავით უფრო მეტი წახალისების მეთოდები; მიიღეთ ეფექტური ზომები სამეცნიერო პროდუქტიულობის ხელშესაწყობად;	**შესრულებულია** უსდ-ს შემუშავებული აქვს შესაბამისი პრემიალურ დანამატიანი სქემები.
სტანდარტი 7	**შესრულებულია**

7.1.1. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყოს თეთრი დაფებით, პროექტორებითა და კონდიცირებით;	საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, რაც უზრუნველყოფს ხარიასხიანი განათლების განხორციელებას.
7.1.2. უზრუნველყავით, რომ სანიტარული პუნქტები არ იყოს ყველა სართულზე;	**შესრულებულია** სანიტარული პუნქტები განთავსებულია შენობის ყველა სართულზე
7.1.3. ხელახლა მოინახულეთ ადმინისტრაციული პერსონალისთვის განკუთვნილი სივრცეები, დარწმუნდით ყველა თანამშრომელს აქვს საკმარისი, უსაფრთხო, კომფორტული და პროდუქტიული სამუშაო გარემო;	**შესრულებულია** შენობაში საკმაო სივრცე აქვს დათმობილი ადმინისტრაციულ ერთეულს სადაც თანამშრომლებს აქვთ შექმნილი საკმარისი, უსაფრთხო, კომფორტული და პროდუქტიული სამუშაო გარემო;
7.1.4. უზრუნველყავით, რომ დაწესებულების შენობები სრულად იყოს ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, არამხოლოდ ყველა შესასვლელთან და სართულზე პანდუსებისა და ლიფტების არსებობით, არამედ სმენა და მხედველობა-დაქვეითებული პირებისთვის შესაბამისი სასწავლო რესურსების მიწოდებით;	**შესრულებულია** დაწესებულების შენობები სრულად იყოს ადაპტირებული სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის
7.1.5. უნივერსიტეტის შენობების შეფასება მოხდეს მთლიანად აკადემიური საზოგადოების მიერ. ამისათვის უნდა გამოიყენოთ ინსტრუმენტები რომლებიც უზრუნველყოფენ გაუმჯობესებისათვის საკმარის ინფორმაციას.	**შესრულებულია** უნივერსიტეტის შენობების შეფასება ხორციელდება მთლიანად აკადემიური საზოგადოების მიერ.
7.2.1. უზრუნველყავით საკმარისი სივრცეები, რომლებიც დააკმაყოფილებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროებებს ცალ-ცალკე (ინდივიდუალური კითხვა და ჯგუფური მუშაობა, ერთმანეთის ხელის შეშლის გარეშე);	**შესრულებულია** უნივერსიტეტის შენობაში უზრუნველყოფილია საკმარისი სივრცეები რომლებიც დააკმაყოფილებს სხვადასხვა სასწავლო საჭიროებებს ცალ-ცალკე.
7.2.2. ბიბლიოთეკის სამუშაო საათები უნდა იყოს მუდმივად სტაბილური და გამოსაჩენ ადგილას, საჯარო ლოკაციებზე განთავსებული;	**შესრულებულია** ბიბლიოთეკის სამუშო საათები გაკრულია საჯარო ლოკაციებზე და თვალსაჩინო ადგილას.
7.2.3. დააზუსტეთ და არეგულირეთ ბიბლიოთეკის პოლიტიკა, რათა დაკონკრეტდეს წიგნის გაცემის პერიოდი თითოეული კატეგორიის მასალისა და	**შესრულებულია** ბიბლიოთეკით სარგებლობის წესში დაკონკრეტებულია წიგნის გაცემის პერიოდი

საზოგადოების წევრებისათვის; დააწესეთ ნათლად-განსაზღვრული ჯარიმა ვადის გადაცილების შემთხვევებისთვის, ასევე შეიმუშავეთ მკაფიო გზამკვლევი განახლების პოლიტიკისა და მასალების დაბრუნებისთვის; ყოველივე ეს უნდა გავრცელდეს გამოსაჩენ ლოკაციებზე	თითოეული კატეგორიის მასალისა და საზოგადოების წევრებისათვის. ელექტრონული მართვის პროგრამის Openbiblio-ს საშუალებით ხორციელდება ვადაგადაცილებული საბიბლიოთეკო რესურსის კონტროლი. ინფორმაცია გაზიარებულია თანამშრომლებსა და სტუდენტებში. ყოველი ვადაგადაცილებული დოკუმენტის სტატისტიკის გამოვლენის შემდგომ ბიბლიოთეკარი უკავშირდება მომხმარებლებს, რათა შეახსენოს სახელმძღვანელოს დაბრუნების თარიღი და მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება შეეზღუდებათ, ვიდრე სახელმძღვანელოს არ დააბრუნებენ.
7.2.4. ვადაგადაცილებულ მასალებს ეფექტურად უნდა დაეთმოს ყურადღება;	**შესრულებულია** ყოველი ვადაგადაცილებული დოკუმენტის სტატისტიკის გამოვლენის შემდგომ ბიბლიოთეკარი უკავშირდება მომხმარებლებს, რათა შეახსენოს სახელმძღვანელოს დაბრუნების თარიღი და მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება შეეზღუდებათ, ვიდრე სახელმძღვანელოს არ დააბრუნებენ.
7.2.5. დანერგეთ, შემოიღეთ, აამოქმედეთ და გამოაქვეყნეთ ბიბლიოთეკაში ქცევის წესები, რათა იქ შენარჩუნდეს ეფექტური მეცადინეობისა და კვლევისათვის საჭირო გარემო;	**შესრულებულია** ინსტიტუციის მარეგულირებელ დოკუმენტებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით რეგულირდება ბიბლიოთეკის წევრობა და მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა, მკითხველის უფლებები, მკითხველის ვალდებულებები, სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები და სხვ.
7.2.6. დანერგეთ უსაფრთხოების ეფექტური სისტემა, რათა თავიდან აიცილოთ ბიბლიოთეკიდან მასალების დაკარგვა.	**შესრულებულია** ინსტიტუციაში დანერგილია ელექტრონული მართვის პროგრამა Openbiblio, რომლის

	საშუალბითაც ხდება საბიბლიოთეკო რესურსებზე კონტროლი.
7.2.7. აღმოიფხვრეს საქაღალდო სისტემა და განახლდეს ბიბლიოთეკის ელექტრონული მართვის სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს გაცემული და დაბრუნებული მასალების ეფექტური აღრიცხვა, ასევე ბიბლიოთეკაში ადგილზე არსებული ფიზიკური რესურსების ზუსტი ინვენტარიზაცია.	**შესრულებულია** ელექტრონული მართვის პროგრამის Openbiblio-ს საშუალებით უზრუნველყოფილია გაცემული და დაბრუნებული მასალების ეფექტური აღრიცხვა. (სპეციალურ ფორმაში აღწერილია: მომხმარებლის სახელი და გვარი, ერთეულის გაცემის თარიღი, დაბრუნების დრო და ტელეფონის ნომერი. ყოველი ვადაგადაცილებული დოკუმენტის სტატისტიკის გამოვლენის შემდგომ ბიბლიოთეკარი უკავშირდება მომხმარებლებს, რათა შეახსენოს სახელმძღვანელოს დაბრუნების თარიღი და მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება შეეზღუდებათ, ვიდრე სახელმძღვანელოს არ დააბრუნებენ.)
7.2.8. ბიბლიოთეკის პერსონალი საკმარისად კვალიფიციური უნდა იყოს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, ფლობდეს შესაბამის უნარებს, რათა შეძლოს ბიბლიოთეკის ელექტრონულ მართვის სისტემაზე მუშაობა, ასევე სტუდენტებსა და პერსონალს გაუწიოს შესაბამისი დახმარება ელექტრონული რესურსებისა და ბიბლიოთეკების გამოყენების კუთხით;	**შესრულებულია** ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა რომ ისინი საკმაოდ კარგად ფლობენ კომპიუტერულ უნარებს, და მათ თავისუფლად შეუძლიათ ბიბლიოთეკის ელექტრონულ მართვის სისტემაზე მუშაობა, რასაც ადასტურებს სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებიც.
7.2.9. უზრუნველყავით, რომ სტუდენტებსა და პერსონალს ჩაუტარდეთ ტრენინგი ელექტრონული სასწავლო რესურსების, ჟურნალებისა და პუბლიკაციების გამოყენებაში.	**შესრულებულია** ბიბლიოთეკარების მიერ ჩატარებული იქნა საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, (ჯამში 2019 წლიდან მოყოლებული ამ დრომდე ჩატარებულია 12 შეხვედრა). შეხვედრებზე დეტალურად იქნა განხილული საბიბლიოთეკო

	რესურსებით სარგებლობის წესები, ელექტრონული კატალოგისა და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებით სარგებლობის მეთოდები, ასევე თითოეული ბაზა, რომლებზეც უნივერსიტეტს აქვს წვდომა და შეძენილია პაკეტები.
7.2.10 უკეთესად შეუწყვეთ ხელი ელექტრონული სასწავლო რესურსების მოხმარებას საგანმანათლებლო პროცესის დროს, რათა გაფართოვდეს სტუდენტების ცოდნა;	**შესრულებულია** ბიბლიოთეკარების მხრიდან ჩატარებულ შეხვედრებზე პერსონალსა და სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა თემატიკის ჟურნალებზე, სტატიებსა თუ სახელმძღვანელოებზე შეძლებენ წვდომას და როგორი მეთოდით (https://unik.edu.ge/News/972)
7.3.1. გააუმჯობესეთ უსადენო ქსელური დაფარვა უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე;	**შესრულებულია** უნივერსიტეტი სარგებლობს სილქნეტის ინტერნეტით, ასევე კაბელიან და უკაბელო WI-FI ინტერნეტს, რომელიც მუშაობს მაღალ სიხშირეზე.
7.3.2. დამცავი დოკუმენტების შენახვა განსხვავებულ და უსაფრთხო ლოკაციებზე, სასურველია სხვა შენობაში ან კემპუსში;	**შესრულებულია** დამცავი დოკუმენტები შენახულია უსაფრთხოდ
7.3.3. განვითარდეს დაწესებულების ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია, რათა უზრუნველყოფილი იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტებით მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება;	**შესრულებულია** ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.
7.3.4. შემუშავდეს IT ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტში მმართველობითი და საგანამათლებლო პროცესების ეფექტურობას, ქმედითობასა და ხელმისაწვდომობას სტუდენტთა მართვის ელექტრონული სისტემის და შეფასების ცენტრალიზებული სისტემის უზრუნველყოფით, ასევე პლატფორმით, რომელიც ცენტრალურად დაიტევს ყველა საგანმანათლებლო რესურს, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების სასწავლო პროგრამებთან, ასევე შიდა	**შესრულებულია** ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებულია IT ინფრასტრუქტურა, დანერგილია მართვის შემდეგი სისტემები: EFLOW-დოკუმენტბრუნვის და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, Google Forms გამოკითხვების სისტემა, პლაგიატის სისტემა, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა,საბიბლიოთეკო ფონდების მართვის სისტემა, HR soft ელექტრონული სისტემა, თანამშრომელთა ტაბელირების პროგრამა და ა.შ.

ადმინისტრაციის ელექტრონული სისტემით და ბიბლიოთეკის მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემით;	
7.3.5. ჩატარდეს ინფორმაციული სისტემის ქმედითობის შეფასებები (ან მოხდეს მისი ინტეგრირება უკუკავშირის შეგროვების არსებულ ინსტრუმენტებში);	**შესრულებულია** ბოლო წლებში უნივერსიტეტმა შეძლო ინფორმაციული სისტემის ქმედობითობის შეფასება, რომლის შედეგები ასახულია შემდეგ დოკუმენტში: შპს ქუთაისის უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სერვისები/მართვის ელექტრონული სისტემები და მათი განვითარების მექანიზმები.
7.3.6. უზრუნველყავით, IT სერვისებისა და აქტივობათა დაგეგმვის უწყვეტობა, IT დეპარტამენტის უფროსის დანიშვნით;	**შესრულებულია** IT დეპარტამენტის უფროსის დანიშვნით ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეძლო პანდემიის დროს მრავალი საკითხის ეფექტურად მართვა, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების სასარგებლოდ.
7.4.1. უკეთესად გაანაწილეთ ფინანსური რესურსები სამეცნიერო აქტივობებზე, რათა წარმატებულად მოხდეს სტუდენტებასა და პერსონალის ხელშეწყობა თავიანთ სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში.	**შესრულებულია** უსდ-ს ბიუჯეტში ცალკე არის გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

სტანდარტი 1

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 6

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 7

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1. მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის;
2. რეკომენდირებულია ტრეინინგები პროგრამა ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით.
3. რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში.
4. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი "რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან;
5. რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსი" ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე;
6. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" ფსიქოლოგიის (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან) და **სოციოლოგიის** (არჩევითი თავისუფალი კომპონენტი) სავალდებულოში გადმოტანა, ასევე **სამედიცინო ინფორმატიკის კურსის** დამატება სავალდებულო სასწავლო კურსებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად);
7. რეკომენდირებულია პროგრამაში პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი" "სწავლის შედეგების მიღწევის **სამიზნე ნიშნულების** განსაზღვრა;
8. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი"პრაქტიკის ობიექტებში პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განხორციელდეს (წერილობითი ფორმით)- პაციენტის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.
9. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი" სილაბუსებში კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას (OSCE/OSPE და სხვ) კრიტერიუმების გამჭირვალედ გაწერა (რანჟირება ქულობრივი წესით).
10. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს საუნივერსიტეტო, საკანონდებლო რეგულაციები და დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნები (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის) ;
11. რეკომენდირებულია გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან.

12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების ინტეგრირებისთვის.

რჩევები

1. სასურველია პროგრამ ხელმძღვანელების ჩართულობა კითხვარების შემუშავების პროცესში
2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ კურიკულუმში გათვალისიწინებული იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები აქტუალურ სასწავლო კურსებში (მაგ: ეპიდემიოლოგია);
3. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ ლოგიკური თანმიმდევრობით სასწავლო კურსების გადანაწილება, ასე მაგალითად პედიატრია I ისწავლება სწავლების VII სემესტრში, ხოლო პედიატრია II სწავლების XII სემესტრში;
4. სასურველია პროგრამების კატალოგის გადახედვა და აკრედიტაციის სტატუსის მითითება (სამართლის საბაკალავრო პროგრამა).
5. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ სტანდარტიზებული პაციენტების ჩართვა სწავლებისა და შეფასების პროცესებში.
6. სასურველია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნები უფრო ლაკონურად ჩამოყალიბდეს.
7. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ OSCE/OSCE სადგურების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ 10 სადგურამდე (ოპტიმალურია 12 სადგური);
8. საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე (მე-5 - მე-6 წლებში) სასურველია WPBA (Work Place Based Assessment) - ე.წ. შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში;
9. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ პროფესიონალიზმის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნას პორტფოლიო.
10. სტუდენტებთან კომუნიკაციის გაძლიერების გზით, სასურველია გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებისა და მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ.
11. სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტთა როლი მათი წარმომადგენლების შერჩევის პროცესში .

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☒	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ჯილდა ჭეიშვილი (თავმჯდომარე)
2. ნინო ზარნაძე (წევრი)
3. ეკა გეგეშიძე (წევრი)
4. თინათინ გაბრიჩიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ 2020 წელს დამტკიცდა უნივერსიტეტის მისია (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს 02/10/2020 წლის N2 დადგენილებით, სხდომის ოქმი N4) რომელიც ფორმულირებულია შემდეგი სახით: "საერთაშორისო, ეროვნული და რეგიონული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებისა და შესაბამისი სფეროს განვითარებაში, ასევე ეკონომიკურ აღმშენებლობაში საკუთარი წვლილის შეტანას. ადგილობრივ დონეზე აკადემიური საზოგადოების გაძლიერება, ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების ხელშეწყობა, როგორც უნივერსიტეტის რესურსების, ასევე, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით". უნივერსიტეტის მისია ნათლად და ლაკონურადაა ჩამოყალიბებული, რეალისტურია. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ინსტიტუცია მუშაობს მისიის შესრულების პროცესზე. ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებული კვლევა "კოვიდ-19 გავლენები რეგიონის ეკონომიკაზე

(შრომითი ბაზრის ცვლილებები რეგიონში, ტურიზმის სფეროს პრობლემები, ა.შ.) დაფინანსება (ბიუჯეტი - 9950 ლარი). აღნიშნული კვლევა გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ უნივერსიტეტს უწევს არსებობა საკმაოდ მაღალ კონკურენტუნარიან გარემოში (ორი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფონზე ერთადერთი კერძო უნივერსიტეტია იმერეთის რეგიონში.

ინსტიტუციის როლი რეგიონის განვითარების დონეზე ასევე განისაზღვრება ადგილობრივი კადრის გადამზადებით, კერძოდ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული სწავლების ინოვაციური ხელშეწყობის ტრენინგ ცენტრის ეგიდით განხორციელებული ტრენინგები და ვორქშოფები ხელს უწყობს ერთის მხრივ რეგიონში ადამიანური რესურსების გაძლიერებას და მეორეს მხრივ, ინსტიტუციისათვის კადრების მომზადებას.

ინსტიტუციის ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში განხორციელებული პროექტი **RURD (Role of Universities in the Regional Development) -** პირდაპი უკავშირდება უნივერსიტეტისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებასა და ინსტიტუციის როლის გაზრდას რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

„ქუთაისის უნივერსიტეტში“ არსებული ყველა პროგრამა ემყარება შრომის ბაზრის კვლევის ანალიზს რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ინსტიტუციის როლსა და მნიშვნელობას რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ უნივერსიტეტის მისია გაზიარებულია აკადემიურ საზოგადოებასა და სტუდენტებში.

ინსტიტუცია მიმდინარე წლების განმავლობაში სტუდენტების მიღების მცირე რაოდენობას უკავშირებს ერთის მხრივ უნივერსიტეტის რებრენდინგის პროცესს, მარკეტინგის კუთხით პროცესების გააქტიურების აუცილებლობას და მეორეს მხრივ Cocid 19 პანდემიას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია (https://unik.edu.ge/PagePDF/b4eee4aca71e66562d7b6ea7ecc9b805.pdf)
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- შრომის ბაზრის კვლევები;
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

„ქუთაისის უნივერსიტეტის“ 2018 წლის ავტორიზაციის შემდეგ, შეიცვალა მფლობელი, შესაბამისად სრულად განახლდა დაწესებულების მისია და ჩამოყალიბდა ახალი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, 2020 წლის 29 დეკემბერს მმართველ საბჭოზე დამტკიცდა 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი სტრატეგიული ამოცანები, ღონისძიებები, ვადები, სამიზნე ნიშნულები, პასუხისმგებელი სუბიექტები და შესაბამისი რესურსები. მანამდე უნივერსიტეტში მოქმედებდა 2019-2025 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და მის საფუძველზე შემუშავებული 3 წლიანი სამოქმედო გეგმა.).

უსდ-ს ძირთადი მიზანია რეგიონში საერთაშორისო უნივერისტეტის ჩამოყალიბებითა და ამუშავებით მნიშვნელოვანი სოციალური ეკონომიკური გავლენის მიღწევა იმერეთის რეგიონში, რომელიც რამდენიმე მიმართულებით უკვე ხორცილდება: დასაქმების ზრდის, კვალიფიციური კადრების მომზადება გადამზადების პროგრამებით, უცხოელი სტუდენტების მოზიდვით საერთაშორისო პროგრამებში და სხვა საზოგადოებრივი კულტურული აქტივობებით. შესაბამისად უსდ ხელს უწყობს ქვეყნის სოციალურ განვითარებას, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში შეგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები გაწერილია, შესაბამის მეთოდოლოგიურ და მართვის ეფექტიანობის შეფასების დოკუმენტებში. მათ საფუძველზე სამოქმედო გეგმის მონიტორინგის პროცესი ხორციელდება ყოველკვარტლურად, ხოლო წლის ბოლოს ხორციელდება სამოქმედო გეგმის წლიური მონიტორინგი, რომლის საფუძველზე შესაძლებელია გადაიხედოს

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები/ამოცანები. ყოველკვარტალური მონიტორინგის ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელია გადაიხედოს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები/შესრულების ვადები და სამიზნე ნიშნულები, ამჟამად არსებობს ანგარიშები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მექანიზმები ამუშავებულა.. მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, მონიტორინგის პროცესი ეყრდნობა გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და საყოველთაობის პრინციპებს. მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელია რექტორი. მონიტორინგის პროცესის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების სამსახური, რომელიც ამზადებს მონიტორინგის საბოლოო ანგარიშებს. უსდ-ში ასევე არის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები. ამ შედეგების საფუძველზე უსდ-მ შემცვალა აკადემიური პერსონალის მოტივაციის სქემები, პროგრამების შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია. ინსტიტუციაში ადმინისტრირებისა და სწავლების პროცესში სრულად არის ინტეგრირებული ტექნოლოგიების მოხმარება და IT მხარდაჭერა და პანდემიური პროცესების გამო არსებული გამოწვევებიც ეფექტურად არის მართული. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, მუხლი 1. ზოგადი პრინციპები, წერია რომ “სტრატეგიულიგანვითარებისადასამოქმედოგეგმებიწარმოადგენენუნივერსიტეტისმდგრადიგანვითარების ფუნდამენტურსაფუძველს, რომლის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება „სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შედეგებზე რეაგირების მექანიზმების“ დოკუმენტის შესაბამისად. “ რაც ნიშნავს, რომ უსდ-შ სტრატეგიული გეგმა პრიორიტეზირებულია. ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ აფასებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას და სათანადოდ მოქმედებს შეფასების შედეგებზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგია; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები; • 2021 წლის პირველი და მეორე კვარტლის მონიტორინგის ანგარიშები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • ავტორიზაციის მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:

-
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ს შემუშავებული აქვს დებულება, რომელიც განსაზღვრავს ქუთაისის უნივერსიტეტის მართვის პრინციპებსა და სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებას. ამჟამად წარმოდგენილი უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა, შეესაბამება სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და აქტივობების განხორციელებას. უსდ-ში მმართველი ორგანოების არჩევის/დანიშვნის პროცედურები გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობის შესაბამისია.

უსდ-ში სტრატეგიულ, და, აღმასრულებელ ორგანოებში გაზრდილია სტუდენტთა ჩართულობა, ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოში შემავალი აფილირებული პერსონალის საერთო რაოდენობის არანაკლებ ერთი მეოთხედით. კანდიდატების წარდგენა ხდება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ.

რექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის №1670 ბრძანებით განახლდა უნივერსიტეტის სტრუქტურა და დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულად ჩამოყალიბდა იურიდიული და საქმისწარმოების სამსახური. აღნიშნულ ცვლილებამდე დაწესებულებას არ ჰყავდა იურიდიული სამსახური. იურიდული სამსახურის დებულებით დგინდება, რომ უსდ-ში უზრუნველყოფილია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების განახლების სისტემატური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს მათ აქტუალობას საკანონმდებლო ჩარჩოსთან და შიდა პროცესებთან. უსდ-ში ახალი ორგანზაციული სტრუტურის შემუშევების პროცესში გაანალიზდა საერთაშორისო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრუქტურები Radford University, Tallinn University,მიღებული ინფორმაციის შედეგად კი შემუშავდა მიმართულებები, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა ქუთაისის უნივერისტეტის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

ინგლისური ენის დონის გაუმჯობესებისვის უსდ-ში გატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. კერძოდ, საბაკალავრო პროგრამების სავალდებულო სასწავლო კომპონენტად შეთავაზებული იქნა ინგლისური ენის შესწავლა, სტუდენტის ენის ცოდნის დონის მიხედვით რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში ინგლისური ენის სწავლების შეთავაზებას A1 დონიდან B2-ის ჩათვლით. რიგ შემთხვევებში, პროგრამის ფარგლებში ისწავლება დარგობრივი ინგლისური ენა. ამასთან, ფინანსების და საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სავალდებულო ლიტერატურად გამოიყენება ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები, რაც ასევე ზრდის სტუდენტების ინგლისური ენის კომპეტენციას. აკადემიური პერსონალისთვის ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად უნივერსიტეტსა და ამერიკათმცოდნეობის ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომლის ფარგლებში გადამზადდა 100 ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობა/მენეჯმენტი უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. წინა ავტორიზაციის პროცესის შემდგომ უსდ-ში განხორცილებულია მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელთა შორისაა სტრუქტურის ცვლილება, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, დაინერგა საინფორმაციო მართვის სისტემა და სხვა.

უსდ-ს მნიშვნელოვანი კურსი აქვს აღებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის კუთხით. გაფორმდა მემორანდუმები საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უსდ-ებთან. აიწყო სხვადასხვა გაცვლითი პროგრამა. ამსთანავე, აკრედიტირებული აქვს მედიცინის უცხოენოვანი პროგრამა, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები გაცვლით პროგრამებში. უმაღლესი სასწავლებლის მისიის გათვალისწინებით, მისი ხელმძღვანელობა მხარს უჭერს დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. უსდ-ს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ინტერნაციონალიზაციის

პოლიტიკის დოკუმენტი, რომელსაც იცნობს ყველა დაინტერესებული მხარე. უსდ-მ წარმოდგინა საერთაშორისო და ადგილობრივი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, რომელთა შეინაარსი შესაბამისობაშია პოლიტიკის დოკუმენტის მიზნებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგია; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები; • 2021 წლის პირველი და მეორე კვარტლის მონიტორინგის ანგარიშები; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ავტორიზაციის მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: –
რჩევები: •
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტში დანერგილია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობის უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, არის უნივერსიტეტის მართვის ნაწილი და ფარავს უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესს, კერძოდ:

- სწავლა-სწავლება და მომსახურება (საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის და სასწავლო პროცესის შეფასება);
- კვლევა - კვლევითი საქმიანობის, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და ანალიზი;
- მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება.

საანგარიშო პერიოდში დაწესებულებამ გადადგა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესებისთვის, სახეზეა პროგრესი, კერძოდ:

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები სრულად განახლდა, ამასთან გადაიხედა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, მკაფიოდ განისაზღვრა სამსახურის ფუნქციები (ავტორიზაციის ექსპერტთა რეკომენდაციების 2.2.1 და 2.2.3 შესაბამისად). სამსახურის ფუნქციების ცვლილების შედეგად, ზოგიერთი ფუნქცია/პასუხისმგებლობა გადაეცა შესაბამის პირს/სტრუქტურულ ერთეულს (მაგალითად, დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემის ორგანიზება გადაეცა სტუდენტური ბაზის მენეჯერს). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის დებულებით განსაზღვრულ სამსახურის ფუნქციებში არ არის წარმოდგენილი სამსახურისთვის შეუსაბამო უფლება-მოვალეობები. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები, ამჟამად მკაფიო და შესაბამისია და ამასთან, უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებისა და მექანიზმების განხორციელებას უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებით, ისევე როგორც საუნივერსიტეტო რესურსების შეფასებას. ხარისხის უზრუნველყოფა ამჟამად წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული მართვის ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი) ინტერვიუების შედეგად, სახეზეა, რომ ისინი იცნობენ უნივერსიტეტში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და თავისი კომპეტენციის/ფუნქციის ფარგლებში მონაწილეობა მიუღიათ მათ განხორციელებაში.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასთან ერთად, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ხარისხის შეფასების ინსტრუმენტების განახლება, შემუშავდა და დაინერგა გამოკითხვის განახლებული ფორმები, ასევე განხორციელდა სხვადასხვა შიდა და გარე კვლევები - მ.შ. ელექტრონული სწავლების სტუდენტის/ლექტორის მიერ შეფასება, საგამოცდო პროცესების შეფასება, საერთაშორისო მობილობის შეფასება, ლექტორების შეფასება, ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება, ბაზრის კვლევები

ეკონომიკის, სტომატოლოგიის, მედიცინისა და ფინანსების მიმართულებით და სხვ. შესაბამისად, ხდაწესებულებაში პერიოდულად ხორციელდება კმაყოფილების კვლევები თუ. დებულებით განსაზღვრული სხვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მაგალითად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასება) უნივერსიტეტის შიდა თვითშეფასების მიზნით (რეკომენდაციები 2.2.5და 2.2.2). გამოკითხვებში მონაწილეობა შესაძლებელია ყველა დაინტერესებული პირისთვის. კმაყოფილების კითხვარების სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციის მოპოვებას, სტუდენტებისთვის შემუშავებული კითხვარი სტუდენტებისთვის გასაგებ ენაზეა შედგენილი, მათში მონაწილეობა კი არ არის შეზღუდული აკადემიური ნიშნით. აქვე აღვნიშნავთ, რომ სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი სრულად ფარავს სტუდენტებისთვის საინტერესო ყველა საკითხსა თუ სფეროს (რეკომენდაცია 2.2.4).

რეგულარული კვლევების დახმარებით უნივერსიტეტი ახორციელებს ადმინისტრაციული, სასწავლო და საგამოცდო პროცესების, უნივერსიტეტის რესურსების შეფასებას და შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, სახავს მოკლე და გრძელვადიან გეგმებს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. უნივერსიტეტში ასევე შემუშავებულია გამოკითხვის შედეგებზე რეაგირების ანალიზის ფორმა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას შეჯამდეს გამოკითხვების შედეგად დაფიქსირებული საყურადღებო საკითხები, რეაგირებები ან/და ის საკითხები, რომლებზე რეაგირებაც დაგეგმილია ან არ ჩაითვალა მიზანშეწონილად. განისაზღვრება რეაგირების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები. უნივერსიტეტმა წარმოადგინა ასევე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების დამადასტურებელი ანგარიშები (რეაგირებები). მაგალითისთვის, ერთ-ერთი უახლესი მიგნება, დაწესებულების მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის მომენტისთვის გამოიკვეთა ელექტრონული სწავლების პროცესის ლექტორთა მხრიდან შეფასების შედეგად. კერძოდ, სტუდენტთა ნაკლები აქტივობა/დასწრება ონლაინ სწავლებისას. ფაკულტეტის წარმომადგენელმა, შეფასების შედეგებზე რეაგირების მიზნით, უზრუნველყო სტუდენტებთან კომუნიკაცია. ქუთაისის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დანერგილია და ეფექტიანად ხორციელდება ხარისხის უწყვეტი განვითარების პრინციპის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს აკლდა ფორმალურობა, საანგარიშო პერიოდში, კერძოდ 2021 წელს, ქუთაისის უნივერსიტეტში დამტკიცდა "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები". ღნიშნული დოკუმენტი აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების არეს, რეგულაციებს, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფა, შეფასების ინსტრუმენტებსა და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურას. შეფასების პერიოდი დამოკიდებულია მის შინაარსზე (შესაძლოა შეფასებას ჰქონდეს სემესტრული, ან წლიური სახე), შეფასების პროცესს ციკლური სახე აქვს და პერიოდულად ფასდება შეფასების შედეგებზე რეაგირება, რაც აღწერილია მსჯელობის დასაწყისში.

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით, ავტორიზაციის დროს, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადამიანური რესურსის მხრივ გაძლიერების საჭიროება (რეკომენდაცია 2.2.6). მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის,

მომზადებული ანგარიშების თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინტერვიუს შედეგად, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაკომპლექტებულია შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. მასთან, უნივერსიტეტში შექმნილია სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი. ომელიც განსაზღვრავს სხვადასხვა პოზიციისთვის აუცილებელ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის აღსრულებას უზრუნველყოფენ: ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი. მათი კვალიფიკაცია და განათლება შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ნტერვიუს დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით ამავდროულად იკავებს იმავე პოზიციას ევროპის უნივერსიტეტში. ითხვაზე, თუ როგორ ხდება საქმიანობის ეფექტური კოორდინაცია, აღინიშნა, რო ვიცე-რექტორი პასუხისმგებელი იყო საქმიანობის ძირითადი მიმართულების განსაზღვრასა და სტრატეგიულ მიმართულებებზე, პოლიტიკის განსაზღვრასა თუ სხვ. ოლო ოპერაციულ საქმიანობას ახორციელებს უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. არისხის უზრუნველყოფის ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით, საყურადღებო საკითხი არ გამოკვეთილა, ხოლო რაც შეეხება პერსონალის დატვირთვას, შესბამისი მსჯელობა და რეკომენდაცია წარმოდგენილია სტანდარტის კომპონენტ 4.1-ის აღწერასა და შეფასებაში.

საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა ასევე დანერგა მართვის ელექტრონული სისტემები, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას (რეკომენდაცია 2.2.7). ექსპერტთა რეკომენდაცია, ძირითადად გამოწვეული იყო იმით, რომ გამოკითხვების ნაწილი ივსებოდა ხელით, მატერიალურად (ფურცელზე), ნაწილი ელექტრონულად, რაც გაართულებდა ინფორმაციის თავმოყრას, გაერთიანებასა და ანალიზს. მჟამად უნივერსიტეტში გამოკითხვები ხორციელდება განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, რაც შეეხება სხვა ელექტრონულ სისტემებს, დანერგილია შემდეგი ელექტრონული სისტემები: QMS, EFLOW, სასწავლოო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, მუდლის პლატფორმა და სხვ.

ექსპერტთა რეკომენდაციის (რეკომენდაცია 2.2.8) შესაბამისად, დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალის შეფასების სისტემის სრულყოფა. ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემა დამტკიცდა 2020 წლის აგვისტოში, ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემის გაუმჯობესების მიზნით 2020 წლის ოქტომბერში შეიცვალა შეფასების წესი და შეფასების განხორციელების პროცესზე პასუხისმგებელი პირები. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასება გულისხმობს სააუდიტორო საქმიანობის შეფასებასაც. საანგარიშო პერიოდში პერსონალის შეფასება განხორციელდა ორჯერ, კერძოდ, შეფასების წესის შეცვლამდე და განახლებული შეფასების წესით. კადემიური და მოწვეული ერსონალის შეფასების შედეგად, დაიგეგმა და განხორცილდა ინდივიდუალური შეხვედრები პერსონალთან.

ექსპერტთა რეკომენდაცია, დასკვნის მიხედვით, ეხებოდა შეფასების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულ(ებ)საც, კერძოდ კი შეფასების ცენტრალიზებას. ქუთაისის უნივერსიტეტის განახლებული წესის მიხედვით, პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების შეფასების კოორდინირებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თუმცა პროცესში ჩართულია სხვადასხვა მხარე - შემფასებლები. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის განვითარებისთვის. პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრი.

პერსონალის შეფასებაში მონაწილეობს სტუდენტიც, სტუდენტის მიერ პერსონალის შეფასების წილი შეადგენს მთლიანი შეფასების 50 % - ს. სტუდენტები ყოველ სემესტრულად აფასებენ ლექტორებს და სასწავლო კურსებს. გარდა ამისა, ისინი აფასებენ საგანმანათლებლო პროგრამებს, ავსებენ ზოგადი კმაყოფილების კითხვარებს, საგამოცდო პროცესს და სხვ. როგორც უკვე აღინიშნა, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კითხვარები იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს ყველა მნიშვნელოვანი პროცესი, სერვისი თუ რესურსი. სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად, დადასტურდა მათი აქტიური ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში, კითხვარების შევსების გზით.

ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის გზით. სტუდენტების შესარჩევად ცხადდება კონკურსი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის განვითარების კომიტეტის მუშაობის ოქმები, რითიც დასტურდება სტუდენტთა მონაწილეობა კომიტეტების შეხვედრებში. ამის მიუხედავად, ინტერვიუს მონაწილე სტუდენტები არ ფლობდნენ ინფორმაციას კომიტეტების შესახებ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტებთან კომუნიკაციის გააქტიურება და ინფორმაციის შესაბამისად გავრცელება.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასაფასებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული შრომა სტუდენტების ინფორმირების მიზნით - პერიოდულად ტარდება შეხვედრები სტუდენტებთან, სადაც სტუდენტებს განემარტებათ შეფასების პროცესებში მათ ჩართულობის მნიშვნელობა, მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია სტუდენტთა მოტივაციისთვის.

შიდა ხარისხის შეფასებები, როგორც აღინიშნა, ხორციელდება სისტემატურად, განსაზღვრული პერიოდულობით. გამოკითხვების რეგულარული ხასიათის უზრუნველყოფისა და დადგენილ პროცედურებთან და პერიოდულობით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევების სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს დაგეგმილი კვლევების ტიპებს, მათ პერიოდულობას, მეთოდოლოგიას. გამოკითხვები ტარდება განსაზღვრული ელექტრონული პლატფორმების მეშვეობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შ.პ.ს "ქუთაისის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის რეგლამენტი;
- პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების ანგარიშები;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციათა შეფასების სისტემა;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

–

რჩევები:

–

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტში შემუშავებულია "პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები", რომელიც ატვირთულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებზე ფლობს საუნივერსიტეტო საზოგადოება, რაც დასტურდება ინტერვიუების შედეგებით (რეკომენდაცია 2.3.1).

პლაგიატის დეტექციისთვის, 2018 წლიდან უნივერსიტეტში გამოიყენება პლაგიატის დეტექციის ელექტრონული პროგრამა (strikeplagiarism.com). უნივერსიტეტის თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის

პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, ტრენინგები სისტემის იმპლემენტაციის მიზნით. პლაგიატის დეტექციის პროგრამა 2020-2021 სასწავლო წლამდე გამოიყენებოდა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შესამოწმებლად, ხოლო 2020-2021 სასწავლო წლიდან, სავალდებულო გახდა სხვა წერითი ნაშრომებისთვისაც, სადაც სავალდებულოა წყაროების მითითება, მაგალითად - რეფერატი, პროექტი, სხვ. ამავე წელს განხორციელდა დამატებით ტრენინგები აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, პროგრამის გამოყენების წესების შესახებ, მონაწილეებს ასევე გაეგზავნათ ვიდეო გზამკვლევი სადაც დაწვრილებითაა აღწერილი პროგრამის გამოყენების გზები. სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, გარდა ტრენინგებისა და საინფორმაციო შეხვედრებისა, ინფორმაცია პლაგიატის შესახებ ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, ასევე ვალდებულება ნაშრომის პლაგიატის დეტექციის პროგრამაზე შეფასებისა - წარმოდგენილია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შესრულების გზამკვლევში, დოქტორანტურის დებულებაში (რეკომენდაცია 2.3.2). საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტში შემუშავდა და დაინერგა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი, ასევე დოქტორანტურის დებულება. დოკუმენტები, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად არეგულირებს კვლევის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის დაცვის პრინციპებს. სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ავტორები უზრუნველყოფენ ინფორმირებული თანხმობის წერილის მომზადებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შესაბამისი რეგულაციები და მექანიზმები კვლევითის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად (რეკომენდაცია 2.3.3). მაგისტრანტებისა და დოქტორნატებისთვის კვლევის ეთიკის პრინციპების გაცნობასა და მათი გამოყენების შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავებას უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსები სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე. დაწესებულება უზრუნველყოფს კვლევის ეთიკასთან დაკავშირებით ტრენინგების, ასევე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებს. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ინტერვიუზე წარმოდგენილი სტუდენტები არ ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას უნივერსიტეტში არსებულ რეგულაციებზე კვლევის ეთიკასთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა გააგრძელოს ძალისხმევა სტუდენტების უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესახებ ინფორმირებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • "ქუთაისის უნივერსიტეტის" პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების წესი; • სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი; • დოქტორანტურის დებულება; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები:

მიმართეთ ძალისხმევა სტუდენტებისთვის კვლევის ეთიკის დაცვის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების გაცნობისთვის.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ინსტიტუციამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები- (დამტკიცებულია 2021 წლის მაისსა და ოქტომბერში)- რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება როგორც ახალი პროგრამების ინიცირება ასევე უკვე აკრედიტირებული პროგრამების მოდიფიცირება. დაწესებულებამ წარადგინა შრომის ბაზრის კვლევები (დიპლომირებული მედიკოსი, ეკონომიკის საბაკალავრო, ეკონომიკის სადოქტორო, ფინანსების სამაგისტრო), რომელიც მიმოიხილავს დარგის საჭიროებებს როგორც საერთაშორისო ისე ადგილობრივ დონეზე და მათ შორის პანდემიის ზოგად რისკებსაც დარგის განვითარების პროცესში. ინსტიტუცია სამომავლოდ გეგმავს ორი ახალი პროგრამის ინიცირებას - სამართალი (ბაკალავრიატი) და სტომატოლოგია, რომლებზე მუშაობაც დაწყებულია (წარმოდგენილია ბაზრის კვლევები).

პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ ისინი აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის შემუშავების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელებმა აღგვიწერეს მათი და პოტენციური დამსაქმებლების ურთიერთთანამშრომლობის პროცესი, კერძოდ როგორ მოხდა მათი (დამსაქმებლების) მიერ მოთხოვნილი საკითხების ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროგრამაში, მაგალითად: გააძლიერეს პრაქტიკული და ანალიტიკური კომპონენტი, რომელიც ხელს უწყობს ანალიზის, კრიტიკული აზროვნების და სხვა პროფესიული ღირებულებების გამომუშავებას სტუდენტებში, ამავდროულად დახვეწეს სტატისტიკისა და ეკონომეტრიკის კურსები, და სხვ.

პროგრამების მოდიფიცირების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელებმა აგრეთვე გაითვალისწინეს სტუდენტების მოთხოვნები - კერძოდ, სასწავლო კომპონენტებში ინგლისური ენის გარდა დაემატა სხვა უცხო ენებიც (მაგ: გერმანული ენა).

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა რომ უნივერსიტეტთან აქვთ მჭიდრო კავშირი პროგრამების დასრულების შემდეგ, ერთად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სოციალური აქტივობებს, ისინი ნაკლებად არიან ჩართულები პროგრამების მოდიფიცირების პროცესში, ასე მაგალითად ერთ-ერთი კურსდამთავრებულის აზრით, კარგი იქნებოდა საერთაშორისო ტენდენციის გათვალისწინება მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის საკითხების კუთხით თითქმის ყველა სასწავლო კურსში.

„დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის თანახელმძღვანელმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურა, რომ პროგრამის მოდიფიცირების დროს აპირებს გაითვალიწინოს, როგორც დარგის გამოწვევები, ასევე საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილებები, სწავლებისა და შეფასების მეთოდების მოდიფიცირება თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით. (დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის რეაკრედიტაცია ხდება რამდენიმე თვეში, ამიტომ ამჟამად პროგრამა მოდიფიცირების პროცესშია).

ინსტიტუციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მუშაობს სტუდენტების უკუკავშირზე, შემუშავებულია კითხვარები სასწავლო პროცესის, ელექტრონული სწავლების და სხვადასხვა სასწავლო პროცესების შეფასების მიზნით.

პროგრამის ხელმძღვანელები პერმანენტულად ითვალისწინებენ დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის შედეგებს, თუმცა არ არიან ჩართული კითხვარების შემუშავების პროცესში.

აკრედიტაციის შემდეგ სრულად შეიცვალა და გაუმჯობესდა ხარისხის შეფასების მექანიზმები, დაკორეტირდა გამოკითვები და დადგინდა კითხვების შეესაბამებობები მიზანობრიობასთან და მასში უზრუნველყოფილია, საკმარისი დეტალები, პროგრამის დონეზე, გადაწყვეტილებების მიღების მხარდასაჭერად. "

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ საჭიროა დამატებითი ტრეინინგები პროგრამის ხელმძღვანელებისათვის პროგრამების შემუშავების პროცესში კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

1. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის კვლევები;
2. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
3. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის" საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები- (დამტკიცებულია 2021 წლის 17 მაისის №ძ 78 ბრძანებითა და 2021 წლის 29 ოქტომბრის №ძ 169 ბრძანებით)
4. საგანმანათლებლო პროგრამები
5. ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ტრეინინგები პროგრამა ხელმძღვანელებისათვის კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისობის დადგენის მიზნით.
2. რეკომენდირებულია კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამების მოდიფიცირების პროცესში.

რჩევები:

1. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობა კითხვარების შემუშავების პროცესში

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

"ქუთაისის უნივერსიტეტის" მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებულია "საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების" შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის, ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის გათვალისწინებით, ინტერვიუირების პროცესში დადგინდა რომ პროგრამების შემუშავებაში ჩართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შრომის ბაზრის კვლევების ასახავს თანამედროვე ტენდენციებს და პროგრამების განხორციელების აუცილებლობას შესაბამის დარგ(ებ)ში.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ თითოეულ საგანში კრედიტების მინიჭება ხდება საგნის/ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და შესასწავლი საკითხებიდან გამომდინარე.

ინსტიტუციაში შემუშავებულია ელექტრონული სწავლების პროცესის მართვის სისტემა, რომელიც ხელს უწყობს არამარტო სტუდენტების მიერ საგნების არჩევას არამედ აუმჯობესებს სწავლა-სწავლების პროცესს. უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება უსდ-ს მისიას. მათი განვითარება იკვეთება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. უსდ რეგულარულად აწარმოებს ბაზრის კვლევებს და მის საფუძველზე ახდენს პროგრამების შემუშავებას და ახალ პროგრამებში ცვლილებების შეტანას. უსდ-ში რეგულარულად ტარდება სტუდენტური კვლევები მასში მონაწილეობას იღებს აქტიური სტატუსის მქონე თითქმის ყველა სტუდენტი. გამოკითხვები და შემუშავებული კითხვარები შესაბამისობაშია მიზნებთან შედეგების საფუძველზე შესაძლებელია ეფექტური და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღება. უსდ-მ ხელი შეუწყო კურსდამთავრებულთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, ცდილობს ინტენსიური ურთიერთობა დაამყაროს კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კურსდამთავრებულები არ არიან ჩართულები პროგრამების მოდიფიცირების (ინიცირების) პროცესში. უსდ სპეციალობების მიხედვით აქტიურად თანამშრომლობს პროფესიულ ორგანიზაციებთან.

ინსტიტუციაში ხორციელდება შვიდი პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა, (240 ECTS); ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა (240 ECTS); ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა (240ECTS); საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS); ფინანსების სამაგისტრო პროგრამა (120 ECTS); ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა (60 ECTS); დიპლომირებული მედიკოსის (360 ECTS) , ხოლო ერთი პროგრამა აკრედიტაციის პროცესშია სამართლის საბაკალავრო პროგრამა);

ყველა მომქმედი პროგრამის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება მისაღებ კვალიფიკაციას. პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული(სასურველია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზენების უფრო ლაკონური ჩამოყალიბება), პროგრამები განთავსებულია ვებ-გვერდზე, მიღების პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

„დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ეყრდნობა საკვალიფიკაციო ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (მედიცინა);

დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია. ინტეგრირებული პროგრამის ძირითადი მახასიათებელია საბაზისო და კლინიკური საგნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

პროგრამა წარმოდგენილია როგორც ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებით (330 ECT), თავისუფალი კომპონენტებით (30 ECT). დარგობრივი და ზოგად ტრანსფერული უნარების განმავითარებელი კომპონენტები წარმოდგენილია როგორც სავალდებულო ასევე არჩევითი კურსებით.

პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო კურსის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა ხდება მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;

საგანმანათლებლო პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი“ გამოყენებული სწავლა- სწავლების თანამედროვე მეთოდები (PBL/CBL, ლაბორატორიული მეცადინეობა და ა.შ.) ითვალისწინებს მედიცინის დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;

საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ სილაბუსების შესწავლისას გამოიკვეთა რომ :

1. გადასახედია დაშვების **წინაპირობების შესაბამისობა** სასწავლო კურსების შინაარსთან ზოგიერთ სილაბუსებში_ ასე მაგალითად:
   - სასწავლო კურსში კლინიკური და პროფესიული უნარები II -სწავლების შედეგს წარმოადგენს“ მკურნალობის დროს იყენებს ეთიკურ პრინციპებსა და ანალიტიკურ უნარებს”- მაშინ როცა ეთიკური საკითხების სწავლება წარმოდგენილია ხუთი სემესტრით გვიან (კლინიკური და პროფესიული უნარები VI), ხოლო აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში არ ფიქსირდება შესაბამისი თემატიკის განხილვა;
   - სასწავლო კურსის „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I“ წინაპირობას წარმოადგენს „შინაგანი მედიცინა II“, (რომელშიც დაინტეგრირებულია გასტროენტეროლოგია, ჰეპატოლოგია, ენდოკრინული და მეტაბოლური დარღვევები), მაშინ როდესაც კურსის „გადაუდებელი მედიცინა და ინტენსიური თერაპია I“ განხილული თემატიკაა: გადაუდებელი მდგომარეობები ორთოპედიაში, გულ-სისხლძარღვთა, რესპირაციული სისტემის გადაუდებელი მდგომარეობები და სხვ.
2. **გადასახედია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების შეფარდება** ზოგიერთ სილაბუსებში, ასე მაგალითად: სასწავლო კურსში „კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი I „ - ფიზიკური დიაგნოსტიკა“(V სემესტრი) - ასახულია საკონტაქტო საათების მცირე რაოდენობა (81სთ) დამოუკიდებელ სამუშაოსთან მიმართებაში (219 სთ), მაშინ როცა სასწავლო კურსი არის ორიენტირებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე და მოიცავს სხვადასხვა კლინიკურ აქტივობებს (ინსპექცია, პერკუსია, პალპაცია, აუსკულტაცია და სხვ.) რომელიც საჭიროებს მეტ

პრაქტიკულ/კლინიკურ მეცადინეობებს თეორიულთან შედარებით. იგივე შეიძლება ითქვას სასწავლო კურსზე კლინიკური დიაგნოსტიკის შესავალი II (საკონტაქტო საათებისა და დამოუკიდებელი სამუშაოს შეფარდებაა 96 /204). ინტერვიუს დროს კლინიკური კომპონენტის განმახორციელებლებმა განაცხადეს რომ პრაქტიკის განმავლობაში აპირებენ რეალური პაციენტის ჩართულობას როგორც სასწავლო კურსის სწავლების ასევე შეფასების დროს, თუმცა საავადმყოფოს ფურცლის (ავადმყოფის ისტორიის) პაციენტის ინფორმირებულ ფორმაში ჯერ-ჯერობით არაა დამატებული ინფორმაცია იმის შესახებ რომ პაციენტი შესაძლოა გასინჯულ იქნას სტუდენტის მიერ/ან თანდასწრებით (საკითხი მსჯელობის პროცესშია). ამავდროულად შევნიშნავთ, რომ აღნიშნული კლინიკური კურსის განხორციელება იგეგმება თბილისის სახელმწიფი სამედიცინო უნივერსიტეტის აფილირებულ ჰოსპიტალში („თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“); საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერსებული მხარისათვის. აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში განთავსებულია სამართლის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც შემუშავების პროცესშია, რეკომენდირებულია აღნიშნულ პროგრამას მიეთითოს რომ არის ამჟამად აკრედიტაციის პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები- (დამტკიცებულია 2021 წლის 17 მაისის №ძ 78 ბრძანებითა და 2021 წლის 29 ოქტომბრის №ძ 169 ბრძანებით) 2. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ18 ბრძანებით) 3. საგანანათლებლო პროგრაები და სულაბუსები 4. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი “რიგი სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების დაკორექტირება და მათი ლოგიკური ბმა კურსის შინაარსთან; 2. რეკომენდირებულია „დიპლომირებული მედიკოსი“ ზოგიერთი სილაბუსების დაკორექტირება, კერძოდ: საათების (საკონტაქტო, დამოუკიდებელი) გადანაწილება სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე; 3. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი “ფსიქოლოგიის (ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან) და **სოციოლოგიის** (არჩევითი თავისუფალი კომპონენტი)

სავალდებულოში გადმოტანა, ასევე **სამედიცინო ინფორმატიკის კურსის** დამატება სავალდებულო სასწავლო კურსებში (საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება ინფორმაციის შესანახად და მოსაძიებლად); 4. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი "სწავლის შედეგების მიღწევის **სამიზნე ნიშნულების** განსაზღვრა; 5. რეკომენდირებულია პროგრამაში „დიპლომირებული მედიკოსი "პრაქტიკის ობიექტებში პაციენტის ინფორმირებული თანხმობა განხორციელდეს (წერილობითი ფორმით)- პაციენტის უფლებებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.
რჩევები: 1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი" კურიკულუმში გათვალისიწინებული იქნეს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისთვის აქტუალური პრობლემები და გაიზარდოს საათები აქტუალურ სასწავლო კურსებში (მაგ: ეპიდემიოლოგია); 2. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი" ლოგიკური თანმიმდევრობით სასწავლო კურსების გადანაწილება, ასე მაგალითად პედიატრია I ისწავლება სწავლების VII სემესტრში, ხოლო პედიატრია II სწავლების XII სემესტრში; 3. სასურველია პროგრამების კატალოგის გადახედვა და აკრედიტაციის სტატუსის მითითება (სამართლის საბაკალავრო პროგრამა). 4. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი" სტანდარტიზებული პაციენტების ჩართვა სწავლებისა და შეფასების პროცესებში. 5. სასურველია ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზნები უფრო ლაკონურად ჩამოყალიბდეს.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

შეფასების სისტემა ნათლადაა გაწერილი და შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ სამართლებლივ აქტებთან.

პროგრამები შეფასების სისტემის კუთხით ეყრდნობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესით ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით განსაზღვრულ და მის საფუძველზე დამტკიცებულ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესს *(დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 21 აგვისტოს №382 ბრძანებით დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 23 სექტემბრის №ძ 33 ბრძანებით, 2020 წლის 4 ნოემბრის №ძ 82 ბრძანებით, 2020 წლის -30 დეკემბრის №ძ 128 ბრძანებით, 2021 წლის 1 აპრილის №ძ 45 ბრძანებით, 2021 წლის 17 მაისის №ძ 79 ბრძანებით, 2021 წლის 2 ივლისის №ძ 131 ბრძანებითა და 2021 წლის 2 აგვისტოს №ძ 146 ბრძანებით)*

ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილია სამაგისტრო (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ24 ბრძანებით, ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №ძ56 ბრძანებით) და საბაკალავრო (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 28 სექტემბრის №ძ36 ბრძანებით დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 9 ოქტომბრის №ძ55 ბრძანებით) შესრულების წესი.

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკებს , ასე მაგალითად „დიპლომირებული მედიკოსი“ ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების თანამედროვე მეთოდებს სამედიცინო განათლებაში რაც წარმოდგენილია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკურ/პრაქტიკული გამოცდებით (OSCE/OSPE), და სხვა, რომელთა საშუალებით ხორციელდება არა მარტო ცოდნის, არამედ უნარების (პრაქტიკული/ კლინიკური) შეფასება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმეტეს საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების სისტემა მოიცავს შესაბამის ფორმებს, პროგრამის შედეგების მისაღწევად.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამის, „დიპლომირებული მედიკოსი“ შეფასების მეთოდები საჭიროებს დაზუსტებას ქულობრივი რანჟირებაში, კერძოდ: კლინიკური/პრაქტიკული კომპონენტების შეფასებისათვის უმეტეს სასწავლო კურსებში გამოყენებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური/პრაქტიკული გამოცდა, თუმცა შეფასების კრიტერიუმებში არაა ნათლად ასახული მნიშვნელობა და შეწონვა ქულებში მაგალითად: რას მოიცავს შეასრულა სრულად, შეასრულა ნაწილობრივ, ვერ შეასრულა. გამოცდა ძირითადად წარმოდგენილია 4/8 სადგურით და ქულების ჯამური რაოდენობა განსაზღვრულია რაოდენობრივი წესით (20 ქულა);

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ სტუდენტებთან სასწავლო სილაბუსების გაზიარება ხდება სასწავლო პროცესის დაწყებისას, შეფასების კრიტერიუმები ცნობილია მათთვის, სტუდენტები ღებულობენ უკუკავშირს ნაკლოვანებისა და გაუმჯობესების შესახებ.

უსდ-ში არსებობს შეფასების გასაჩივრების ეფექტური სისტემა, რომელიც იმპლემენტირებულია სტუდენტებსა და პერსონალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი 2. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი 3. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი 4. საგანანათლებლო პროგრამა და სილაბუსები 5. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსის “ სილაბუსებში კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტის შეფასებისას (OSCE/OSPE და სხვ) კრიტერიუმების გამჭირვალედ გაწერა (რანჟირება ქულობრივი წესით).
რჩევები: 1. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“ OSCE/OSCE სადგურების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ 10 სადგურამდე (ოპტიმალურია 12 სადგური); 2. საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსის“ კლინიკური სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე (მე-5 - მე-6 წლებში) სასურველია WPBA (Work Place Based Assessment) - ე.წ. შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში; 3. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსში „ პროფესიონალიზმის შეფასების მიზნით გამოყენებულ იქნას პორტფოლიო.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ,

ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიული ხედვა. უნივერსიტეტის მიერ შექმნილი არის სახელმძღვანელო, რომელშიც ასახულია პერსონალის მართვის სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, აღწერილია მათი მიღწევის გზები და გამოსაყენებელი ინსტრუმენტები. სახელმძღვანელოში ასახულია პერსონალის მართვის მეთოდოლოგიური პრინციპები და წესები. ინტერვიუების შედეგად დგინდება, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ადამიანური რესურსების მართვის სრულყოფის საკითხს სტრატეგიულ საკითხად მიიჩნევს და ამისთვის მუდმივად ატარებს შესაბამის ღონისძიებებს. თვითშეფასების დოკუმენტზე და ადმინისტრაციასთან ინტერვიუებზე დაყრდნობით დგინდება, რომ უნივერსიტეტის პარტნიორთა საერთო კრების მიერ 2018-2020 წლებში გამოყოფილი იყო ფინანსური სახსრები რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად. ფინანსური სახსრები მიიმართა ისეთი საკითხების გადასაჭრელად, როგორიცაა კვალიფიციური კადრის მოზიდვა, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი განვითარების დაფინანსება. მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ 2018 წელს ავტორიზაციის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები 4.1 სტანდარტთან მიმართებაში შესრულებულია. კერძოდ,გაზრდილია ადამიანური რესურსებისთვის გამოყოფილი დაფინანსება, რათა შერულებული იქნას სტრატეგიული ამოცანები, უსდ-ში დაიხვეწა შესრულებულ სამუშაოზე დამყარებული ანაზღაურების სისტემა, რაც დგინდება დოკუმენტებით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებით. სდ-ში ასევ დაინერგა სხვადასხვა პრემიალური სქემები. ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულია რეკომენდაცია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით მათი სამუშაოს აღწერის შესაბამისად. ვაკანტურ ადგილზე პერსონალის დანიშვნა ხდება საჯაროდ განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოიცავს კანდიდატისთვის წაყენებული მოთხოვნების სრულ ნუსხას. ქუთაისის უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი (“პერსონალის შერჩევის წესი”, ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და

საკვალიფიკაციო მოთხოვნები), რომელშიც აღწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაკავებულ თანამდებობასთან მიმართებაში. დოკუმენტზე მუშაობა ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური, მოწვეული და სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობის გზით. ვაკანტურ ადგილზე პერსონალის შერჩევა ხდება "პერსონალის შერჩევის წესის" საფუძველზე, რომელშიც გაწერილია პერსონალის შერჩევის ძირითადი საკვალიფიკაციო წესები და პრინციპები. რექტორის მიერ შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედის ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახური და თავად რექტორი, ადგენენ კონკრეტული მაძიებლის შესაბამისობას საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. პერსონალის შერჩევის განახლებული წესი შეიქმნა 2020 წელს და მასში დეტალურად არის გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და პერსონალის მართვის სრული ციკლი დაგეგმვიდან დასაქმებამდე. ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს როგორც ერთიანი, უნიფიცირებული შრომითი ხელშეკრულების მოდელი, ასევე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებების პრაქტიკა, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე პირებს მიიღონ უნივერსიტეტისგან სხვადასხვა სახის ანაზღაურება/ სარგებელი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა იზრუნა "პროფესორის ემერიტუსის" წოდების აღიარების სისტემის შესახებ, რომელიც აღწერილია შესაბამის დოკუმენტში.

ვიზიტის დროს აკადემიური, მოწვეული და დამხმარე პერსონალის მიერ აღინიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ადამიანური რესურსების განვითარებისთვის ფარგლებში ქუთაისის უნივერსიტეტმა განახორციელა ტრენინგების, ვორკშოპების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები, ასევე შექმნილია სამეცნიერო პროექტებში და საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის სამოტივაციო სისტემა, რომლის ფარგლებში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს ეძლევა საშუალება მიიღოს დამატებითი ფინანსური სარგებელი მაღალი სამეცნიერო აქტივობის შემთხვევაში. ამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების, დარგობრივი კომპეტენციების სრულყოფის საკითხების მართვას და მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი, სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობის დოკუმენტი, რომელშიც ყოველწლიურად ხდება პიროვნების სამეცნიერო აქტივობის აღრიცხვა და შეფასება. ამ გზით უნივერსიტეტი ახორციელებს ადამიანური რესურსების განვითარებას.სასწავლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ასოცირებული პროფესორის პოზიციას იკავებს პერსონალი რომელთა პედაგოგიური გამოცდილება ვერ დასტურდება მოწოდებული მასალით, ასევე მოწვეულ პერსონალად (საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი") კლინიკურ პოზიციაზე არჩეულ იქნა პიროვნებები რომლებსაც იმ დროისათვის (არჩევის პროცესში) არ ქონდათ კლინიკური მუშაობის გამოცდილების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება, რაც დადასტურდა ინტერვიუერების პროცესში.

შესაბამისად აკადემიური პერსონალის შერჩევისას დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ერთის მხრივ კანონი უმაღლესი განათლების შესახებ 21/12/2004. 668. (მუხლი 35. აკადემიურ თანამდებობაზე არჩევისა

და დანიშვნის პირობები), მეორეს მხრივ შპს ქუთაისის უნივერსიტეტის პერსონალის შერჩევის წესი და მედიცინის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელს მოთხოვნები ადამიანური რესურსების შერჩევის პროცესში. ინსტიტუცია ზრუნავს პერსონალის განვითარებაზე, ინტერვიუერების დროს ირკვევა რომ რამოდენიმეჯერ ჩატარდა ტრენინგი SPSS მიმართულებით, ასევე ჩატარდა გადამზადება სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებზე (მათ შორის PBL- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება), ხოლო შეფასების თანამედროვე მეთოდების გადამზადების შეთავაზება დაადასტურა ინტერვიუებში ჩართული პერსონალის უმრავლესობამ, თუმცა მხოლოდ ერთმა მიიღო მონაწილეობა. ხაზგასასმელია რომ ინსტიტუციის პარტნიორი უნივერსიტეტში ჰყავს მედიცინის მიმართულებით ToT ტრენერი, რომელთა ეგიდითაც მოხდა გადამზადება, და სამომავლოდ იგეგმება პროცესის უწყვეტობა. ხაზგასასმელია რომ ინსტიტუციის ტოპ მენეჯმენტის (ვიცე რექტოები) უმრავლესობა დაკავებულია სრული განაკვეთით ორ ინსტიტუციაში ერთდროულად, (ქუთაისის უნივერსიტეტი და „ევროპის უნივერსიტეტი“). მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ვიცე რექტორს ჰყავს რამოდენიმე მასზე დაქვემდებარებული სამსახური ინსტიტუციაში, ეჭვს იწვევს ვიცე რექტორების დატვირთვის შესაბამისობა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან, ამავდროულად, სამუშაოს დიდი მოცულობიდან გამომდინარე, ვიცე-რექტორების დატვირთვის დიდი ინტენსიობა შესაძლოა უარყოფითად აისახოს უნივერსიტეტის მისიის მიღწევაზე. სწორად მიგვაჩნია, გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შპს “ქუთაისის უნივერსიტეტის” პერსონალის შერჩევის წესი 2. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა 3. შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები 4. პერსონალის პირადი საქმეები 5. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: 1. რეკომენდირებულია ინსტიტუციამ აკადემიური პერსონალის შერჩევისას გაითვალისწინოს საუნივერსიტეტო, საკანონმდებლო რეგულაციები და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები (მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამისათვის); 2. რეკომენდირებულია გადაიხედოს ქუთაისის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორების სამუშაოს საერთო მოცულობა ორ უსდ-ში და მოხდეს მისი თანხვედრა საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან.

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის აკადემიური დატვირთვის სქემა, რომელშიც გაწერილია დატვირთვის ძირითადი პრინციპები და წესები. "აკადემიური პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელოს" მიხედვით წლიური აკადემიური დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს 1000 საათს (სალექციო, სამსემინარო, საკონსულტაციო აქტივობები). იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომელი დაკავებულია სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში, მისი აკადემიური დატვირთვა ქუთაისის უნივერსიტეტში არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს კვირაში. ამჟამად უსდ-ში პერსონალის დატვირთვა ადეკვატურია.

ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობებში აწერილია უნივერსიტეტის მიერ შექმნილ დოკუმენტში ("აფილირების წესი და პირობები") უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის და უნივერსიტეტის უფლებამოსილებები და ვალდებულებები. აფილირებული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური სემესტრული დატვირთვა განისაზღვრება შემდეგი სქემით: აკადემიური საქმიანობა (18 საათი კვირაში), აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 21 საათი; აფილირებული ასისტენტ-პროფესორი -24საათი. ►უთაისის უნივერსიტეტის მიერ შექმნილია აკადემიური მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, სადაც გაწერილია ზოგადი დებულებები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმები და სამიზნე ნიშნულები, პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი აკადემიური საათების მაქსიმალური რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამაზე აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის გამოთვლა.

აკადემიური პერსონალის სემესტრული სასწავლო დატვირთვა; სემესტრში მაქსიმუმ 270 საათი; ასოცირებული პროფესორი- მაქსიმუმ 315 საათი; ასისტენტ პროფესორი- სემესტრში მაქსიმუმ 360 საათი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. აკადემიური პროგრამების განხორციელების სახელმძღვანელო 2. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები 3. ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები შეესაბამება კანონმდებლობას, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის. სტუდენტისთვის საჭირო ინფორმაცია და მარეგულირებელი დოკუმენტები ხელისაწვდომია მარტივად, ვებ-გვერდის ჩანართის მეშვეობით. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესახებ. სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად უნივერსიტეტში დანერგილია შესაბამისი რეგულაციები და პრაქტიკა.

ქუთაისის უნივერსიტეტს 5.1 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განესაზღვრა ხუთი რეკომენდაცია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, ასევე ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეკომენდაციები უმეტესწილად შესრულებულია. პირველი ორი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა და სტუდენტთა წარმომადგენელთა ჩართულობას საუნივერსიტეტო პროცესებში და სტუდენტთა როლის გაძლიერებას უნივერსიტეტის მართვაში:

5.1.1 "პროგრამის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებაში, ისევე, როგორც სწავლების მეთოდოლოგიაში, გასაჩივრების პროცედურებსა და ა.შ. სტუდენტთა ჩართულობის გაზრდა;

5.1.2 "გაუმჯობესდეს სტუდენტების წარმომადგენლობა დაწესებულების ორგანოებში მათი როლის შესრულების გზით, რაც გულისხმობს სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას და არა მხოლოდ სასწავლო განრიგის გარე აქტივობების მხარდაჭერას; უზრუნველყავით ეფექტური ორმიმათულებიანი კომუნიკაცია სტუდენტებსა და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებს შორის."

ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის მიხედვით (სტანდარტ 5.1-ის აღწერილობითი ნაწილი), სტუდენტებს არ ჰქონდათ გამოცდის გარდა სხვა შეფასების გასაჩივრების უფლება. ამჟამად ქუთაისის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით, სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს ნებისმიერი წერითი შეფასება. სტუდენტები, ისევე როგორც პერსონალი, ინფორმირებულნი არიან აღნიშნული რეგულაციის შესახებ.

რაც შეეხება პროგრამის დონეზე ხარისხის გაუმჯობესებას, სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტის საბჭოში, ასევე უნივერსიტეტის მმართველ საბჭოში. სტუდენტები მონაწილეობენ გამოკითხვებში, წარმოდგენილნი არიან პროგრამის განვითარების კომიტეტებში, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. თუმცა, პროგრამის განვითარების კომიტეტების შესახებ ინტერვიუზე წარმოდგენილ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია, რაც მათი ინფორმირებულობის ნაკლებობაზე მიუთითებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტებთან კომუნიკაციის გაძლიერება.

ქუთაისის უნივერსიტეტში არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ უნივერსიტეტის მართვაში და წარმოდგენილნი იყვნენ

მმართველ ორგანოებში. სტუდენტებს ჰყავთ წარმომადგენლები ფაკულტეტის საბჭოში, სტუდენტებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კვოტა - საბჭოში შემავალი აფილირებული პერსონალის საერთო რაოდენობის არანკლებ ერთი მეოთხედი. სტუდენტთა კანდიდატების წარდგენა ხდება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ. სტუდენტები ასევე წარმოდგენილნი არიან მმართველ საბჭოში. მმართველ საბჭოში სტუდენტთა შერჩევა განხორციელდა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით - საუკეთესო აკადემიური მოსწრების სტუდენტების სია ფაკულტეტის დეკანმა წარუდგინა ფაკულტეტის საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს კენჭისყრის საფუძველზე კი შეირჩა მმართველი საბჭოს წევრი სტუდენტი. უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში გადადგა შესაბამისი ნაბიჯები ექსპერტთა რეკომენდაციების შესრულებისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის გაძლიერებისთვის უნივერსიტეტის მართვაში. ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა იყვნენ წარმოდგენილნი შესაბამის ორგანოებში თუ კომისიებში პროგრამის, ფაკულტეტის თუ უნივერსიტეტის დონეზე. სტუდენტებს ჰყავთ სტუდენტური თვითმმართველობა. უნივერსიტეტმა სამომავლოდ შესაძლებელია იზრუნოს სტუდენტთა როლის გაზრდაზე სტუდენტთა წარმომადგენლების შერჩევაში, რადგან მათი შერჩევა ამ დროისთვის ხდება სტუდენტური თვითმმართველობისა და ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა მესამე რეკომენდაცია 5.1 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით უკავშირდება სტატუსშეჩერებული სტუდენტების პრობლემას უნივერსიტეტში. დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის მომენტისთვის, უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე უნივერსიტეტს ჰყავდა 169 აქტიური და 468 სტატუსშეჩერებული სტუდენტი. მიუხედავად იმისა, რომ სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება აქტიურ სტუდენტთა რაოდენობას, აღსანიშნავია რეკომენდაციის შესრულებისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობის შემცირების მიზნით ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული აქტივობები. კერძოდ, 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთაც 2018 წლის 1 იანვრამდე ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი და 2020 წლის 1 სექტემბრამდე უნივერსიტეტს მიმართავდნენ წერილობით, დავალიანება გაუუქმდებოდათ. თუმცა, 300 სტუდენტიდან, რომელსაც მიეწოდა ინფორმაცია, მხოლოდ 33-მა ისარგებლა შეთავაზებით. ამასთან, უნივერსიტეტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, ისარგებლონ ინდივიდუალური სწავლის გადახდის გრაფიკით და ასევე, უნივერსიტეტში მოქმედებს ფინანსური მხარდაჭერის სისტემა (როგორც სოციალურ საჭიროებებზე, ასევე სტუდენტთა მიღწევებზე დაფუძნებული). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ითქვას, რომ უნივერსიტეტმა გადადგა შესაბამისი ნაბიჯები პრობლემის გადაჭრისთვის, თუმცა პრობლემა არ არის ბოლომდე აღმოფხვრილი.

ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია რეკომენდაცია 5.1.4: *„უზრუნველყოფილ იქნეს ეთიკის კოდექსის დებულებების, მათ შორის მისი დარღვევის შემთხვევებში სანქციების შესახებ უკეთ გავრცელება სტუდენტებში“.*

სტუდენტების მიერ ეთიკის კოდექსის, მათ შორის მისი დარღვევის შემთხვევებში სანქციების შესახებ ცოდნა დასტურდება სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებით. რეკომენდაციის შესრულების

მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან. მაგალითად, 2020-2021 სასწავლი წლის შემოდგომის სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტის I-IV კურსის სტუდენტებთან ონლაინ რეჟიმში გაიმართა საინფორმაციო კვირეული, სადაც სტუდენტებმა მიიღეს ინფორმაცია უნივერსიტეტის განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ, კერძოდ: ეთიკის კოდექსის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, საგამოცდო პროცესისადმინისტრირების წესის და სხვ.) სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა სტუდენტთა ინფორმირება შესაბამისი რეგულაციების შესახებ, რეგულაციები საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სტუდენტები ასევე ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, რაც შეეხება ხელშეკრულების პირობების ცვლილების განხილვას, სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონიათ ხელშეკრულების ცვლილების პრეცედენტი (რეკომენდაცია 5.1.5: „განიხილეთ სტუდენტებთან და მათ მიერ არჩეულ წარმომადგენლებთან უნივერსიტეტის მიერ მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შეტანილი ნაბისმიერი ცვლილება ან დამატება “). სტუდენტები ამბობენ, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ, მათ გააცნეს და განუმარტეს ხელშეკრულების პირობები. 2020-2021 სასწავლო წელს სტუდენტებთან გაფორმდა საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებები, სტუდენტებსა და მათ წარმომადგენლებს კი გაეცნოთ ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულებებთან ერთად ხელი მოეწერა ფორმებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში ასახული ინფორმაციის გაცნობის/განმარტების დადასტურების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შპს “ქუთაისის უნივერსიტეტის” რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში; 2. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://www.unik.edu.ge/Services/9 ; https://www.unik.edu.ge/News/1120 სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი - https://unik.edu.ge/PagePDF/be9e0d7a90f3e9f560198c69d2c3c731.pdf ; 3. პროგრამის კომიტეტის ოქმები; 4. დამფუძნებლის 2019 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება ფინანსურ შეღავათებთან დაკავშირებით; 5. შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ საგანმანათლებლო პროგრამის კომიტეტის რეგლამენტი; 6. მმართველი საბჭოს დებულება; 7. ფორმა საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებაში ასახული ინფორმაციის გაცნობის/განმარტების დადასტურების შესახებ; 8. სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში; 9. ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები:

1. სტუდენტებთან კომუნიკაციის გაძლიერების გზით, სასურველია გაიზარდოს მათი ინფორმირებულობა საგანმანათლებლო პროგრამების კომიტეტებისა და მათ მუშაობაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობის შესახებ.
2. სასურველია უნივერსიტეტმა გაზარდოს სტუდენტთა როლი უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში მათი წარმომადგენლების შერჩევის პროცესში .

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი მექანიზმები, რომელიც მოიცავს როგორც აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით მოქმედ საკონსულტაციო მომსახურებას, ასევე კარიერული მხარდაჭერის სერვისებს. სტუდენტები იღებენ კონსულტაციასა და დახმარებას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, იმართება დასაქმების ფესტივალები, შეხვედრები სტუდენტებთან და სხვ. სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ექსტრაკურიკულური აქტივობებიც, სხვადასხვა ღონისძიებები თუ საჯარო ლექციები. უნივერსიტეტს გააჩნია სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები და ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში ან საერთაშორისო ღონისძიებაში.

დაწესებულებას ავტორიზაციის ექსპერტების მიერ განესაზღვრა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის დონის გაუმჯობესებას როგორც სტუდენტთა გაცვლითი

პროგრამების გააქტიურების, ასევე ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობის გაზრდის მეშვეობით.

ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში შემუშავდა/განახლდა რეგულაციები პროცესის გამართვის მიზნით, ამასთან სახეზეა შედეგები მობილობასთან მიმართებით, კერძოდ, შეიქმნა „საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი“, ასევე ხელშეკრულებების ფორმები ქართულ და ინგლისურ ენებზე, გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალისთვის; 2020-2021 სასწავლო წელს გამოცხადდა სამი კონკურსი სტუდენტთათვის აკადემიურ მობილობაში მონაწილეობის მისაღებად, რომლის შედეგად გამოცხადდა ოთხი გამარჯვებული, რომელთაც უნივერსიტეტმა დაუფარა სწავლის, ცხოვრებისა და გამგზავრების ხარჯები; ერაზმუს+ საერთაშორისო კრედიტების მობილობის პროგრამით მობილობით იმყოფებოდა 9 სტუდენტი. უნივერსიტეტს ჰყავს არაერთი პარტნიორი ერაზმუს+ მობილობისთვის, საანგარიშო პერიოდში დაემატა კიდევ ორი პარტნიორი უნივერსიტეტი.

გარდა საერთაშორისო მობილობისა, სტუდენტებს ასევე შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვა საერთაშორისო აქტივობებში, როგორიცაა მაგალითად ბრიუსელის ევროპული კვირეული (ონლაინ), საზაფხულო სკოლა (ონლაინ), ვირტუალური სტუდენტური კონფერენცია და სხვ.

რაც შეეხება რეკომენდაციის მეორე კომპონენტს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსებით საგანმანათლებლო პროგრამების გამრავალფეროვნებას, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს რეკომენდაციის შესრულებაზე და მნიშვნელოვანი ნაბიჯები აქვს გადადგმული, სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახულია უცხოენოვანი ლიტერატურა, განახლებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ ინგლისურენოვანი კურსი, მიმდინარეობს მუშაობა ეკონომიკის საბაკალავრო, ფინანსების და საბუღალტრო აღრიცხვის და აუდიტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების დამატებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას რეკომენდაციის შესრულების პროცესშია.

ავტორიზაციის ექსპერტების მეორე და მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს, კერძოდ, პროცედურებისა და პროცესების მკაფიო აღწერილობის შემუშავებასა და ფინანსური დახმარების გაცემის კრიტერიუმების მიზნობრიობას - სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებას (*„სტუდენტთა ფინანსური დახმარების გამჭვირვალობის ამაღლებით, ამ მიზნებისთვის პროცედურებისა და პროცესების მკაფიო აღწერილობის შემუშავებით“; „სტუდენტთათვის ფინანსური დახმარების გაცემის კრიტერიუმების უფრო მიზნობრივი შემუშავება, მათი აკადემიური მოსწრებისა და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით“).* რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული. ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მიღების წესი გამჭვირვალე, მკაფიო და დეტალურია, ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, დასტურდება სტუდენტების მიერ რეგულაციების ცოდნა. შემუშავებულია მოწყვლადი სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის წესი, რომელიც ასევე, გამჭვირვალე, მკაფიო და გასაგებია, ატვირთულია ვებ გვერდზე. ანგარიშის წარმოდგენის მომენტისთვის, ორი სტუდენტი სარგებლობდა 20%-იანი შეღავათით. უნივერსიტეტში ასევე დამტკიცებულია სტიპენდიის დანიშვნისა და ინდივიდუალური გადახდის

გრაფიკით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტზე სტიპენდიის გაცემის წესსა და პირობებს. ქუთაისის უნივერსიტეტის ავტორიზაციის დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ის მხოლოდ ნაწილობრივ არის ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტს გააჩნია ლიფტი და პანდუსი, მაგრამ გარემო და სასწავლო რესურსები არ არის ადაპტირებული, მაგალითად მხედველობის პრობლემების მქონე სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის გარემო ადაპტირებულია ეტლით გადაადგილებისთვის, რაც შეეხება სასწავლო რესურსების ადაპტირებას, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის განმარტებით, ამ დროისთვის უნივერსიტეტში არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო რესურსების ადაპტირებას, რასაც ითვალისწინებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებაც. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას ეხებოდა ექსპერტთა კიდევ ერთი რეკომენდაციაც 5.2 სტანდარტთან მიმართებით. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების შედეგად, აშკარაა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი სტანდარტების მატერიალური ბაზა და სასწავლო რესურსები, ასევე ელექტრონული სერვისები (დეტალური აღწერა მოცემულია სტანდარტის კომპონენტის 2.2 აღწერასა და შეფასებაში) რათა უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სწავლა-სწავლება(რეკომენდაცია 5.2.6). სტუდენტური სერვისების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, ექსპერტთა რეკომენდაციაზე დაფუძნებით, ქუთაისის უნივერსიტეტში ასევე განხორციელდა სტრუქტურული ცვლილება და სტრუქტურის განახლების შედეგად, შეიქმნა ორი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული : სასწავლო პროცესის ადმინისტრირების სამსახური და სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი. სტუდენტთა მომსახურებაში ასევე აქტიურად არიან ჩართული ფაკულტეტების სასწავლო პროცესების მართვის მენეჯერები. უნივვერსიტეტს ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც საჭიროებისამებრ ეხმარება სტუდენტებს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისი სტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მხარდამჭერი სერვისები და შესაბამისი რეგულაციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: 1. შპს "ქუთაისის უნივერსიტეტის" რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში; 2. საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამაში მონაწილეობის წესი; 3. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები; 4. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტიპენდიის დანიშვნისა და ინდივიდუალური გადახდის გრაფიკით სარგებლობის წესი; 5. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრუქტურა; 6. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება; 7. უნივერსიტეტის ვიზუალური დათვალიერება. 8. შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია; 9. უნივერსიტეტის ვიზუალური დათვალიერება.

რეკომენდაციები: რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაგრძოს ძალისხმევა საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისურენოვანი კურსების ინტეგრირებისთვის.
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ქუთაისის უნივერსიტეტის პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერით და ხორციელდება რამდენიმე მიმართულებით. ეს ყოველივე რეგულირდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესის შესახებ და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პროცედურების შესაბამისად. აკადემიური პერსონალის შეფასება მოიცავს: ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით; ბ) პროფესიული განვითარების წლიურ შეფასებას შეფასების შესაბამისი ანგარიშის გამოყენებით; გ) აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. ხოლო მოწვეული პერსონალისთვის შეფასება მოიცავს ზემოთ

აღნიშნულ მხოლოდ ბ) და გ) პუნქტებს, ანუ პროფესიული განვითარების წლიურ და აკადემიური საქმიანობის სემესტრულ შეფასებას სხვადასხვა მხარის მიერ შესაბამისი კითხვარების გამოყენებით.

სამეცნიერო-სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრს. არსებობს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნებიც, შესაბამისი მუხლობრივი განაწილებით. აკადემიური პერსონალი ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობები და ყოველწლიურად დააგროვოს მისთვის განსაზღვრულ მინიმალურ ქულათა რაოდენობა. ხოლო რაც შეეხება პროფესიული განვითარების საქმიანობის თვითშეფასების ანგარიშს, ეს უკანასკნელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ დადგენილი მოთხოვნაა მინიმუმ 30 ქულის დაგროვება. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების, პროფესიული განვითარების წლიური შეფასების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის სემესტრული შეფასებების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ დაგროვებული ქულების რანჟირება ფაკულტეტების მიხედვით. აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში, აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეძლევა შესაბამისი ანაზღაურება. ამის მსგავსად, აკადემიური პერსონალიც მათი სამეცნიერო კვლევითი და აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე და მოწვეული პერსონალიც მათი აკადემიური საქმიანობის წლიური შეფასების შედეგების რანჟირების საფუძველზე წახალისების მიზნით იღებს ფულად ჯილდოს (იგულისხმება თითოეულ ფაკულტეტზე სამი საუკეთესო შედეგის მქონე პერსონალი).

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან, მაგალითად, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრთან, გამოვლენილი საყურადღებო შედეგების გამომწვევი მიზეზების კვლევისა და მათი გამოსწორებისთვის საჭირო ნაბიჯების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. აღნიშნული საკითხის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანს ევალება კვლევის შედეგებზე რეაგირების ანგარიშის ფორმის შევსება, სადაც უნდა დაფიქსირდეს გამოვლენილ საყურადღებო შედეგებზე რეაგირების მიზნით უკვე განხორციელებული აქტივობები, ასევე, სამომავლო რეაგირების გეგმა. რეაგირების მიზნით დაგეგმილი აქტივობების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ვიცე რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით. საჭიროების შემთხვევაში ფაკულტეტი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ-ცენტრთან პროფესიული განვითარების მიზნით შესაბამისი ტრენინგების ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით. მაგალითისთვის, განხორციელდა შემდეგი ტრენინგები და ვორქშოფები: „კვლევითი საგრანტო პროექტების წერა“, „კვლევა უნივერსიტეტში“, „მონაცემთა ანალიზი SPSS-ში (დამწყები და მაღალი დონეები)“.

უსდ-ს აქვს სხვადასხვა სახის რეაგირების დოკუმენტი. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ქუთაისის უნივერსიტეტში პირველად განხორციელდა 2020-2021 აკადემიური წლის ბოლოს და განხორციელდება ყოველწლიურად. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 19 ნოემბერს გაიმართა უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის დაჯილდოება.უნივერსიტეტში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის N№21 ბრძანებით არის დამტკიცებული. ამ წესიდან გამომდინარეობს, რომ აფილირება უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას ემყარება, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში. ამ წესის მიზანია, შექმნას შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში 2006 წლიდან ბეჭდური სახით (ISSN – 1512-3901), ხოლო 2017 წლიდან ელექტრონული სახით (EISSN – 2587-5310) გამოიცემა სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“ (http://economicprofile.org/).

ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი მთლიანობაში მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებში, სემინარებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში. მათი კვლევები ასახულია როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. აქვე უმნიშვნელოვანესია პროფესორ-მასწავლებელთა ჩართულობა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში. უსდ-ში არსებობს შიდა გრანტებისა და ასევე სამეცნიერო მუშობის წამახალისებელი სისტემა, მაგალითად, 2020 წლის 20 ოქტომბერს ქუთაისის უნივერსიტეტში გამოცხადებულ შიდა სამეცნიერო-კვლევითი კონკურსში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის, რომლის ფარგლებში ერთ-ერთი დაფინანსებული კვლევითი პროექტისთვის მომზადდა და გამოიცა ექვსი სამეცნიერო სტატია Scopus, Web of Science, Scimago, EBSCO და სხვა საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე, აღსანიშნავია, რომ ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შესაძლებელია მიმართვის საფუძველზე დაუფინანსდეს კვლევითი პროექტები (დაფინანსების საკითხი რეგულირდება ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედი „კვლევის დაფინანსების წესის“ შესაბამისად, დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ22 ბრძანებით).

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა გადამუშავდა, შეიცვალა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, განვითარდა/დაიხვეწა პროგრამის სასწავლო გეგმაც, აღნიშნული ცვლილებების საფუძველს წარმოადგენდა, გარე მარეგულირებელი სტანდარტები (აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტები) და მეორე მხრივ, საუნივერსიტეტო მარეგულირებელი მექანიზმები, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის პროცედურებს. პროგრამის დახვეწისა და განვითარების ეტაპზე სრულად იქნა გათვალსწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილებით (№71 24.09.2018) დაწესებულების მიერ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები ადგილზე ვიზიტის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ასვე უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ-ს გაფართოებული აქვს საკვლევი არეალი და კვლევის სამიზნე ნიშნულები რეგიონული განვითარების ტენდენციებიდან ეროვნულ და გლობალურ დონემდე. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დოქტორანტების ცოდნის დონეს უცხო ენაში და პროგრამაში არის დამატებული უცხოენოვანი კომპონენტი. ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა გადამუშავებულია და დოქტორატისთვის კვლევითი უნარების განვითარება-ჩამოყალიბებისთვის შეთავაზებულია შემდეგი სასწავლო კურსები: მიკროეკონომიკური ანალიზი, კვლევის მეთოდები ეკონომიკაში, ეკონომეტრიკა და თამაშთა თეორია. შეცვლილია სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელები და მათმა კარგად იციან უცხო ენა - აკადემიური პერსონალს უტარდებათ სპეციალურად მათზე მორგებული ტრენინგები დოქტორანტების ხელმძღვანელობის კუთხით". სადოქტორო კვლევის ზედამხედველობის ეფექტურობის უზრუნველყოფისათვის არსებობს მარეგულირებელი დოკუმენტი,ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დოქტორანტის მუშაობის სპეციფიკა და მოთხოვნები. თავად პროგრამაში და სილაბუსებში ასახულია ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსებულია ვებ-გვერდზე. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უსდ-ს აქვს საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები სადისერტაციო დისერტაციების შეფასებისა და დაცვისთვის, რომლებიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. • გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • თანახელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (თანხმობის წერილი); • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება; • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგიული გეგმა; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ავტორიზაციის მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტმა მოახდინა მისიის და სტრატეგიული გეგმის ცვლილება, მათში სპეციალური მიმართულება დაეთმო კვლევით საქმიანობას. უსდ-ში ფუნციონირებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი, რომელიც რეგულარულად აფასებს და მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას. უსდ-ში ინტენსიურად ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასება და მათი კვლევითი ინტერესების გამოვლენა. ქუთაისის უნივერსიტეტის 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების / პრიორიტეტების პერიოდული შესწავლა და განახლება. ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მიერ დეკლარირებული პრიორიტეტების აღწერითი ანალიზი და მის შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო კვლევითი თემატიკის განსაზღვრა. რომელზეც პასუხისმგებელია სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი. შესწავლილ შედეგებზე დაყრდნობით ფაკულტეტები

პასუხისმგებლები არიან განსაზღვრონ პოტენციური კვლევითი პრიორიტეტები. დადგენილი კვლევითი პრიორიტეტების გათვალისწინებით განისაზღვრება შიდა საგრანტო პრიორიტეტების დაფინანსების საკითხი, რაც განაპირობებს რესურსების კონკრეტული მიმართულებით გამოყენებას.

 მჟამად უსდ-ს კვლევითი პრიორიტეტებში ძირითადად კონცენტრირებულია ბიზნესისა და ეკონომიკის ადგილობრივ თუ საერთაშორსიო გამოვევებზე, რომელთა შედეგები ასახულია სამეცნიერო ჟურნალში, რომლსაც უსდ გამცემს და საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებშია რეგისტრირებული, დეტალები მოცემულია სამცნერო ჟურანილის "ეკონმიკური პროფილისვებგვერდზე.

უსდ-ში გაზრიდილია ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენება. უსდ-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური მუდმივ რეჟიმში უზიარებს აკადემიურ პერსონალს ინდივიდუალური და ჯგუფური საგნრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციას და მოპოვებულ საგრანტო პროექტებში მაქსიმალურად უზრუნველყოფს, როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობას. ამჟამად შპს ქუთაისის უნივერსიტეტს აქვს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ CBHE ორი მიმდინარე პროექტი: RURD (609741-EPP-1-2019-1-GE-EPPKA2-CBHE-SP) და EPSY (617980-EPP-1-2020-1-GE-EPPKA2-CBHE[1]SP), რომლებშიც მონაწილეობს უსდ-ს ათი თანამშრომელი. არსებობს პროექტის მომდევნო ფაზებზე მეტი აკადემიური პერსონალის ჩართვის პოტენციალიც.

პერსონალისთვის მიწოდებული იქნა ინგლისური ენის უფასო კურსები, ამერიკათმცოდნეობის ცენტრის მეშვეობით და გადამზადდა 100 ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

უსდ მუდმივად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის შედეგების გამოყენებას და დანერგვას დაწესებულების საქმიანობაში.

უსდ-ში გაზრდილია სტუდენტების საერთაშორისო მობილობა და მათთვის შეფასებულია მრავალფეროვანი გაცვლითი პროგრამები სამივე საგანმანათლებლო საფეხურზე. რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა ვერ მოხერხდა პანდემიის გამო.

პროგრამებში მოწვეულია უცხოელი პედაგოგები, ასევე სადოქტორო პროგრამის თანახემძღვანელად მოწვეულია უცხოელი პროფესორი.

უსდ-ში არის სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმები, რათა აკადემიური პერსონალმა მონაწილება მიიღოს ინდივიდუალურ/ჯგუფურ საგრანტო კონკურსებში.

გაიზარდილია დაწესებულების ჩართულობა გამოყენებითი კვლევების პროექტებში, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ უსდ-ს აქვს ეფექტური სისტემა კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერისთვის. მასში ხდება ახალი კადრების მოზიდვა და მათი ჩართვა კვლევით/ხელოვნებით-შემოქმედებით საქმიანობაში. ამასთანავე უსდ-ში მუშაობს კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.
- გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- თანახელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (თანხმობის წერილი);
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება;
- შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები;
- უნივერისტეტის ჟურნალის "ეკონომიკური პროფილი" ვებგვერდი http://www.economicprofile.org/;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- ავტორიზაციის მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ში დანერგილია წესი, რომლითაც უნივერსიტეტის აფილირებულ პროფესორებს სემესტრში ეძლეოდა გრანტი 1000 ლარის ოდენობით სამეცნიერო სტატიების მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად. აღნიშნული წესით ისარგებლა ქუთაისის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა და გამოქვეყნდა მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში 6 ინგლისურენოვანი სტატია (ავტორობით და თანაავტორობით). უსდ-ში დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი იღებს წესით განსაზღვრული მოცულობის ანაზღაურებას, კერძოდ, აფილირებული პროფესორი - 3000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 2500 ლარის ოდენობით, აფილირებული ასისტენტ-პროფესორი - 2000 ლარის ოდენობით, აფილირებული ასისტენტი - 1500 ლარის ოდენობით, რაც უნივერსიტეტის მხრიდან მათი სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ფინანსურ ხელშეწყობად და მხარდაჭერად განიხილება. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით აფასებს მიღებულ შედეგებს, აანალიზებს და ადგენს აკადემიური პერსონალისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის საჭიროებებს და გეგმავს ხელშეწყობის მიმართულებებსა და ხელშეწყობისთვის საჭირო აქტივობებს. უსდ-კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა აქვს შემუშავებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 7 ოქტომბრის №ძ 51 ბრძანებით), მის ფარგლებში განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის შესაძლო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები და თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია შესაბამისი ქულა. ეს წესი, თითოეული აკადემიური პოზიციის შემთხვევაში, განსაზღვრავს მინიმალურ მოთხოვნებს და წახალისების მექანიზმებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. • გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები; • თანახელმძღვანელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (თანხმობის წერილი); • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' დებულება; • შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულება; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგიული გეგმა; • შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;

• შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები; • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; • ავტორიზაციის მონიტორინგის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: -
რჩევები: -
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტის შენობა ამჟამად წარმოდგენილია ექვსი სართულით, თუმცა მიმდინარეობს სარემონტო მშენებლობითი სამუშაოები რაც კიდე უფრო გაზრდის უნივერსიტეტის სამუშო სივცეს. ახალ შენობაში დაგეგმილია, როგორც სასწავლო აუდიტორიები, ასევე სტომატოლოგიური კლინიკა (ინსტიტუცია მუშაობს სტომატოლოგიური პროგრამის აკრედიტაციაზე), ბუფეტი და სხვა სასწავლო და დამხმარე სივრეები რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამების განხორციელებას იმ მოცულობითი სტუდენტებისათვის (n-900) რაზეც გაცემულია ავტორიზაცია.

ინსტიტუციის სივცრე წარმოდგენილია სხვადასხვა ფართებით: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლების აუდიტორია/აუდიტორიები, ადმინისტრაციული სათავსო/სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარიული კვანძები, ბიბლიოთეკა, სამედიცინო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ბიოქიმიის, ჰისტოლოგიის, მიკრობიოლოგიის და სხვა ლაბორატორიებით,

შენობის ერთ ფლიგელში განთავსებულია სასწავლო სიმულაციური ცენტრი მედიცინის პროგრამის სტუდენტებისათვის. ცენტრი აღჭურვილია ულტრათანამედროვე მულაჟებით, შეძენილია, როგორც მედიცინის დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული არამარტო სარეკომენდაციო მულაჟები, ასევე დამატებითი სხვა სიმულატორებიც. სასწავლო სიმულაციური ცენტრი დაგეგმარებულია ისე, რომ შეუფერხებლად მოხდეს ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩატარება (სადგურების გადანაწილება), ასევე თითოეულ ოთახში განთავსებულია ვიდეო კამერა რომელიც ასევე უზრუნველყოფს გამოცდების ჩაწერას.

საკლასო ოთახები აღჭურვილია ყველა სასწავლო ინვენტარით, საკლასო ოთახები აღჭურვილია თეთრი დაფებით, პროექტორებით და კონდიციონერებით. სანიტარული კვანძები განთავსებულია ყველა სართულზე, დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. სანიტარიულ კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით. შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა.

ყველა ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს შესაბამისი სამუშაო სივრცე, სადაც შეძლებს კომფორტულ, უსაფრთხო და პროდუქტიულ მუშაობას.

დაწესებულების შენობა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, ლიფტები გამართულად მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის დროს გარკვეული სამუშაოები კვლავ დასრულებული არ იყო და მიმდინარეობდა მუშაობა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა საბოლოოდ სასწავლო პროცესისათვის გამართული შენობის საბოლოო სურათის შეფასება. აგალითად, არ იყო მოწყობილი პანდუსები და შესასვლელი სივრცე. ქვე ავღნიშნავთ, რომ უსდ-ს მიერ არ ყოფილა რაიმე გამაფრთხილებელი ნიშანი ვიზიტორთა ან მომუშავე პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ხოლო პანდუსები მოწყობილია (სარემონტო სამუშაოების გამო სრულდება პანდუსების გამართვა).

ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა რომ პერსონალის უკუკავშირს ითვალისწინებს ინსტიტუცია შენობის შეფასების პროცესში.

თვალსაჩინო ადგილას, ყველა სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი მისი გამოყენების ინსტრუქციის დეტალური მითითებით და ასევე საევაკუაციო გეგმები (ვიზიტის დროს შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის ვადის გასვლის თარიღი). პირველადი სამედიცინო დამხარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულებას აქვს სამედიცინო კაბინეტი შენობის პირველ სართულზე, სადაც მუშაობს ექიმი და კაბინეტი აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ყველა ინვენტარით. შენობის მიმდებარედ არსებობს ავტოსადგომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, საიდანაც შეუფერხებლად არის შესაძლებელი შენობამდე მიღწევა. ინსტიტუცია პროგრამის „დიპლომირებული მედიკოსი“ განსახორციელებლად თანამშრომლობს კლინიკებთან, კერძოდ წარმოდგენილია კლინიკებთან დადებული მემორანდუმები, სადაც ხორციელდება ამ პროგრამით განსაზღვრული კლინიკური კომპონენტები. ვიზიტისათვის მოწოდებული ოთხი კლინიკიდან შეირჩა ორი, თუმცა ვიზიტის პროცესში გაირკვა რომ წარმოდგენილი ორი კლინიკიდან ერთი იყო კოვიდ კლინიკა („ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო - წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი“, სადაც შესაბამისად ექსპერტების ვიზიტი არ განხორციელდა. მხოლოდ ერთ პრაქტიკის ობიექტზე „თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონალური ცენტრი“ განხორციელებული ვიზიტის დროს გამოიკვეთა რომ, მულტიფუნციური სტრუქტურიდან გამომდინარე სტუდენტებს აქვთ სრული შესაძლებლობა კლინიკური კომპონენტი განახორციელონ აღნიშნულ კლინიკაში სხვადახვა სასწავლო კურსებში (ქირურგია, რეანიმაცია, კარდიოლოგია და აშ), კლინიკაში გამოყოფილია სასწავლო სივრცე სტუდენტებისათვის, რომელიც აღჭურვილია - კომპიუტერით, პროექტორით და სტუდენტების პირადი ნივთების შესანახი არეებით, თუმცა ხაზი უნდა გაესვას რომ ზემოთ აღნიშნული კლინიკა არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აფილირებული კლინიკა. მეორე პრაქტიკულმა ობიექტმა სადაც ვერ განხორციელდა ვიზიტი კოვიდ სტატუსის გამო („ქუთაისის საეკლესიო საავადმყოფო - წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ქსენონი“) მოგვაწოდა ფოტო მასალა რაც ადასტურებს სტუდენტებისთვის სასწავლო გარემოს არსებობას ჰოსპიტალში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • დოკუმენტაცია/ინვენტარის მასალები, რომლებიც მოწმობს საკუთრების და შესყიდვას; • პრაქტიკულ/კვლევით სამეცნიერო ობიექტებთან ხელშეკრულებები • კლინიკურ ობიექტებთან დადებული მემორანდუმები • პრაქტიკის ობიექტების ობსერვაცია • ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტში ბიბლიოთეკა განთავსებულია მეორე და მესამე სართულზე (დაკავშირებულია შიდა კიბით) წარმოდგენილია: წიგნსაცავით, სამკითხველო დარბაზით, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცით, შეხვედრებისა და ჯგუფური მუშაობის სივრცეებით.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერებით, პროექტორებით, პრინტერით, უსადენო ინტერნეტით და აშ.

დოქტორანტებისათვის დამატებით ინსტიტუციას გამოყოფილი აქვს ერთი ოთახი აღჭურვილი ყველა თანამედროვე ინფრასტრუქტურით.

ვიზიტის დროს თვალსაჩინო იყო მრავალი უახლესი სამედიცინო ლიტერატურა ბიბლიოთეკაში (ნაბეჭდი სახით).

ინსტიტუციის მარეგულირებელ დოკუმენტებში შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 12 აგვისტოს №353 ბრძანებით. დოკუმენტში ცვლილებები შეტანილია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 19 ოქტომბრის №ძ 68 ბრძანებითა და 2021 წლის 17 მაისის №ძ 83 ბრძანებით) რეგულირდება ბიბლიოთეკის წევრობა და მკითხველის მიერ ბიბლიოთეკის რესურსით სარგებლობა, მკითხველის უფლებები, მკითხველის ვალდებულებები, სამკითხველო დარბაზში არსებული კომპიუტერით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკაში ქცევის წესები და სხვა საკითხები, ხოლო მუხლი 1 (ბიბლიოთეკის მუშაობის განრიგი განისაზღვრება

ორშაბათიდან - პარასკევის ჩათვლით, დილის 09:00 საათიდან 21:00 საათის ჩათვლით) განსაზღვრავს ბიბლიოთეკის სამუშო საათებს. ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ სამუშაო საათები ნამდვილად გამოსაჩენ ადგილზეა გაკრული, ხოლო დოკუმენტი საჯაროა და გამოქვეყნებულია ვებგერდზე.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ, სახელმძღვანელოების გატანის ვადები განსხვავებულად განისაზღვრა წიგნების ეგზემპლარების რაოდენობისა და მასალების კატეგორიის მიხედვით, რომელიც ეფექტრია და იძლევა საბიბლიოთეკო რესურსების მართვისა და განხელბის საშულებას, ნდში მკითხველისათვის დროებით სარგებლობაში გადასაცემი ერთეულის ეგზემპლარების რაოდენობა 2-ზე ნაკლებია, ამ შემთხვევაში საბიბლიოთეკო ერთეულით სარგებლობა დაიშვება მხოლოდ სამკითხველო დარბაზში. ორზე მეტი ეგზემპლარის არსებობის შემთხვევაში, წიგნის გაცემის ვადა დამოკიდებულია წიგნის რაოდენობასა და მოთხოვნის სიხშირეზე, გასაცემი დღეების რაოდენობა განისაზღვრება 1-7 დღემდე. სახელმძღვანელოები, რომელთა რაოდენობა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია 10 ერთეულზე მეტი რაოდენობით, სტუდენტს შეუძლია გაიტანოს მთელი სემესტრით. პერიოდული გამოცემებით, პრესით, ჟურნალებით, ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით და CD დისკებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში, ასევე მომხმარებელს მიეცა უფლება სახელმძღვანელოს დამატებითი დროით საჭიროების შემთხვევაში მომართვისა და სურვილის დაფიქსირების საფუძველზე გადაავადოს გატანის ერთი ვადა, თუ სახელმძღვანელო საკმარისი რაოდენობით არის აღნიშნულ მომენტში ბიბლიოთეკაში. მომართვა შესაძლებელია განახორციელოს როგორც ბიბლიოთეკის მეილის მეშვეობით, ასევე ადგილზე მოსვლით.

ელექტრონული მართვის პროგრამის Openbiblio-ს მეშვეობით ხორციელდება ვადაგადაცილებული საბიბლიოთეკო რესურსის კონტროლი, სპეციალურ ფორმაში აღწერილია: მომხმარებლის სახელი და გვარი, ერთეულის გაცემის თარიღი, დაბრუნების დრო და ტელეფონის ნომერი. ყოველი ვადაგადაცილებული დოკუმენტის სტატისტიკის გამოვლენის შემდგომ ბიბლიოთეკარი უკავშირდება მომხმარებლებს, რათა შეახსენოს სახელმძღვანელოს დაბრუნების თარიღი და მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება შეეზღუდებათ, ვიდრე სახელმძღვანელოს არ დააბრუნებენ.

ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალთან შეხვედრის დროს გამოიკვეთა, რომ ისინი საკმაოდ კარად ფლობენ კომპიუტერულ უნარებს, და მათ თავისუფლად შეუძლიათ ბიბლიოთეკის ელექტრონულ მართვის სისტემაზე მუშაობა, აღნიშნულს ადასტურებს სტუდენტებთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგებიც.

ამასთანავე, ინსტიტუციის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბიბლიოთეკარების მიერ ჩატარებული იქნა საინფორმაციო შეხვედრები უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან, ჯამში 2019 წლიდან მოყოლებული ამ დრომდე ჩატარებულია 12 შეხვედრა. შეხვედრებზე დეტალურად იქნა განხილული საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის წესები, ელექტრონული კატალოგისა და სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებით სარგებლობის მეთოდები, ასევე თითოეული ბაზა, რომლებზეც უნივერსიტეტს აქვს წვდომა და შეძენილია პაკეტები.

პერსონალსა და სტუდენტებს მიეწოდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა თემატიკის ჟურნალებზე, სტატიებსა თუ სახელმძღვანელოებზე შეძლებენ წვდომას და როგორი მეთოდით

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია(დოკუმენტი დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 სექტემბრის №ძ18 ბრძანებით)
- ბიბლიოთეკის თანამშრომლების პირადი საქმეები;
- ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ ჩატარებული შეხვედრების დამადასტურებელი ფოტოები.https://unik.edu.ge/News/972
- ინტერვიუს შედეგები
- ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრები.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ქუთაისის უნივერსიტეტში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მისიის და მიზნების მიღწევას. ინფორმაციული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და პესრსონალისთვის. ის ცენტრალიზებულია და იმართება

სპეციალური სამსახურის მიერ. უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების ფონდში შედის ასზე მეტი კომპიუტერი, ნოუთ ბუქი ადაპტირებული თანამედროვე საჭიროებებზე და სხვ.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგად ვლინდება, რომ უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური პანდემიის პერიოდში მუდმივად ცდილობდა უზრუნველყო სალექციო და საგამოცდო პროცესების გამართულობა. ის ატარებდა გაცნობით შეხვედრებს და განმავითარებელ ვორქშოპებს სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით.

IT დეპარტამენტის უფროსის დანიშვნით ქუთაისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეძლო პანდემიის დროს მრავალი საკითხის ეფექტურად მართვა, როგორც პერსონალის, ასევე სტუდენტების სასარგებლოდ.

უნივერსიტეტი სარგებლობს სილქნეტის ინტერნეტით, ასევე კაბელიან და უკაბელო WI-FI ინტერნეტს, რომელიც მუშაობს მაღალ სიხშირეზე.

ქუთაისის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა დაინტერესებული პირისთვის საჭირო ინფორმაცია ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ექსპერტთა ჯგუფისთვის ვებ-გვერდის შესწავლისას ხელმისაწვდომი იყო უნივერსიტეტის მისია, მიზნები, სტრუქტურა, პროგრამების კატალოგი, პროგრამების შერჩევის კრიტერიუმები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, მარეგულირებელი დოკუმენტები, კვლევები, უსდ-ს ანგარიშები და მრავალი სხვა.

ქუთაისის უნივერსიტეტში დანერგილია მართვის შემდეგი სისტემები: EFLOW-დოკუმენტბრუნვის და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, Google Forms გამოკითხვების სისტემა, პლაგიატის სისტემა, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემა, საბიბლიოთეკო ფონდების მართვის სისტემა, HR soft ელექტრონული სისტემა, თანამშრომელთა ტაბელირების პროგრამა და ა.შ. ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი და სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას აღნიშნულ საინფორმაციო სისტემებზე და პროგრამებზე, სარგებლობენ აღნიშნული სისტემებით და პლათფორმებით. ასევე არსებული საინფორმაციო პლათფორმების გამოყენებით ქუთაისის უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტთა და ლექტორების ცენტრალიზებულ გამოკითხვას, ინფორმირებას. ბოლო წლებში უნივერსიტეტმა შეძლო ინფორმაციული სისტემის ქმედითობის შეფასება, რომლის შედეგები ასახულია შემდეგ დოკუმენტში: შპს ქუთაისის უნივერსიტეტში დანერგილი ელექტრონული სერვისები/მართვის ელექტრონული სისტემები და მათი განვითარების მექანიზმები.

უნივერსიტეტს გააჩნია ადამიანური და სხვა სახის რესურსები და ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები

- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუს შედეგები
- ინტერვიუს შედეგები
- ადგილზე ვიზიტისას განხორციელებული შეხვედრები.

- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ავტორიზაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' მისია და სტრატეგიული გეგმა;
- შპს ,,ქუთაისის უნივერსიტეტის'' სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შედეგებზე რეაგირების მექანიზმები.
-

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ში მმართველობის ცვლილების შემდეგ, მნიშნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა, შენობა ნაგებობში, პროგრამების მომზადებაში, სასწავლო რესურსებში, აკადემური თუ ადმინისტრაციულ პერსონალის მოზიდვასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ასევე მომავალში იგეგმება მნიშნელოვანი

ინვესტიციები უნივერისტეტების საქმიანობის გაფართოვებისათვის. წარმოდგენილი და გამოთხოვილი დოკუმენტების ანალიზით და ადგილზე ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.

უსდ-ს წარმოდგენლი სამოქმედო გეგმებში ასახული აქვს შესაბამისი სახარჯი მუხლები, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების შესრულებას.

უმაღლესი სასწავლებლის ფინანსური რესურსები მიმართულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურად განხორციელებაზე.

უმაღლეს სასწავლებელს აქვს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა, reportal.ge-ზე არის ატვირთული როგორც უსდ-ს ასევე ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები და არამოდიფიცირებული აუდიტორული დასკვნები, რომელთა საფუძველზე შესაძლებლია დავასკვნათ, რომ უნივერიტეტს აქვს მნიშნელოვანი განვითარების პოტენციალი. უსდ-ს ბიუჯეტში ცალკე არის გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- მონიტორინგის ანგარიში;
- უსდ-ს ბიუჯეტი;
- ტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- უსდ-ს ვებგვერდი;
- Reportal.ge-ზე განთავსებული აუდიტის დასკვნა და ფინანსური ანგარიშგება.

რეკომენდაციები:

-

რჩევები:

-

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინსტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 0 20 0000679092, 11.08.2020
2	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №262, 11.11.2011 (რეაკრედიტებულია 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გადაწყვეტილების ნომერი არ არის ცნობილი)
3	ტურიზმის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში	240	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №261, 11.11.2011
4	საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბუღალტრო აღრიცხვაში	120	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 4 20 0000679096, 11.08.2020
5	ფინანსების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში	120	ავტორიზებული	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება № 71; 24.09.2018

6	დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი პროგრამა	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი	360	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება № MES 1 20 00351830, 29.04.2020
7	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი	60	აკრედიტებული	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №137, 03.07.2012 (რეაკრედიტებულია 2021 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით, გადაწყვეტილების ნომერი არ არის ცნობილი)